

სასარგებლო გამოცდილების
სახელმძღვანელო



თბილისი 2007

სასარგებლო გამოცდილების სახელმძღვანელო

პუბლიკაცია გამოიცა პროგრამა „*Twinning Georgia*“-ს ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამა 2007-ის ფარგლებში გამოყოფილი დოტაციის მეშვეობით

პუბლიკაცია ითარგმნა პოლონური ენიდან.

მთარგმნელი - მაგდა ნოვაკოვსკა

თბილისი 2007

შესავალი

სახელმძღვანელოს მიზანია თვითმმართველობასთან დაკავშირებული ძირითადი პოლონური სამართლებრივი აქტების და იმ პრინციპების წარმოდგენა, რომელიც ეხება საზოგადოების ჩართულობის როლს თვითმმართველობის მართვაში და ადგილობრივი ადმინისტრაციის გამჭვირვალე საქმიანობას. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი შეიქმნა „გმინის“ თვითმმართველობის შესახებ კანონზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პროგრამა - „გამჭვირვალე პოლონეთის“ გამოცდილებაზე დაყრდნობით. პუბლიკაციის მეორე, შედარებით დიდ ნაწილში წარმოდგენილია პოლონეთის ხუთი თვითმმართველობის - „გოსტინის“, „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“, „მუროვანა გოსლინას“, „პუშჩიკოვოსა“ და „სიერაკოვოს“ გამოცდილება საზოგადოებრივი ჩართულობისა და გამჭვირვალეობის სფეროში.

პუბლიკაცია გამოიცა პროგრამა „Twinning Georgia“-ს ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამა 2007 ფარგლებში გამოყოფილი დოტაციის წყალობით.

დიდ მადლობას ვუხდით პოლონეთის თვითმმართველობის ორგანოებს თავიანთი გამოცდილების გაზიარებისათვის. იმედი გვაქვს, რომ ქვემდებარე სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს თვითმმართველობის იდეის განვითარებასა და გაღვივებას საქართველოში.

პროექტის გუნდის სახელით,
რადოსლავ შარლეია
ასოციაცია

„პარტნიორები თვითმმართველობისათვის“ პროზიდენტი

თვითმმართველობის იდეა პოლონეთის კანონმდებლობაში

გმინის თვითმმართველობის კანონის მიხედვით თვითმმართველ თანამეგობრობას, რომელსაც „გმინა“ ეწოდება, ქმნიან მისი მაცხოვრებლები. ადგილობრივ საზოგადოებას

უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მართოს საზოგადოებრივი საქმეების ძირითადი ნაწილი, რომელიც შედის მის ინტერესსა და პასუხისმგებლობის სფეროში. სწორედ ამიტომ, ამა თუ იმ საზოგადოების წევრებს უნდა ჰქონდეთ სრული უფლება მიიღონ ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იწვევს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და აძლევს მათ საშუალებას ობიექტურად შეაფასონ მერების, გამგებლების, თუ ადგილობრივი საკრებულოების მოქმედები.

„გმინის“ პასუხისმგებლობა, თვითმმართველობის იდეის მიხედვით, მოიცავს ყველა საზოგადოებრივ საქმეს ადგილობრივ დონეზე, რაც არ არის გათვალისწინებული სხვა კანონებით. აგრეთვე სხვა დავალებებს, სამთავრობო ადმინისტრაციასა და მის ორგანოებს შორის არსებული შეთანხმებების საფუძველზე, მაგალითად, რეფერენდუმებისა და საყოველთაო არჩევნების მომზადება-ჩატარების ორგანიზება. „გმინამ“ შესაძლოა ასევე უზრუნველყოს „პოვიატის“ (რომელიც აერთიანებს რამდენიმე გმინას), ან „საყოველთაო“ პასუხისმგებლობაში არსებული დავალებების შესრულება შეთანხმების საფუძველზე. საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების მიზნით, გმინას შეუძლია შექმნას ორგანიზაციული ერთეულები, დადოს ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანოებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან ითანამშრომლოს სხვა ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებთან.

უშუალოდ „გმინის“ პასუხისმგებლობაში შედის საკითხები, რომლებიც ეხება კოლექტივთან დაკავშირებული კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მოიცავს შემდეგს:

- მიწის მართვა, უძრავი ქონების ეკონომიკა, გარემოს დაცვა, წყლის ეკონომიკა;
- გმინის გზები, ქუჩები, ხიდები, მოედნები და საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, სისუფთავისა და სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ნაგავსაყრელები, ელექტროენერჯის, გათბობისა და გაზის მიწოდების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტი;

- ჯანდაცვა;
- საზოგადოებრივი დახმარებები, მათ შორის სოციალური დაწესებულებები;
- გმინის საბინაო მშენებლობა;
- საჯარო განათლება;
- კულტურა, მათ შორის ბიბლიოთეკები და კულტურის სხვადასხვა ცენტრები და ღირსშესანიშნაობების დაცვის და მოვლის უწყებები;
- ფიზიკური და ტურისტული კულტურა, მათ შორის რეკრეაციული და სპორტული დაწესებულებები;
- სავაჭრო დაწესებულებები და ბაზრები;
- გმინის გამწვანება;
- გმინის სასაფლაოები;
- საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოება, აგრეთვე სახანძრო და დატბორვის საწინააღმდეგო დაცვა, ამასთან დატბორვის საწინააღმდეგო მოწყობილობების საწყობების მოვლა-პატრონობა;
- გმინის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი გამოყენების ობიექტებისა და მოწყობილობების, აგრეთვე ადმინისტრაციის ობიექტების მოვლა-პატრონობა;
- საოჯახო პოლიტიკის წარმოება, მათ შორის ორსული ქალების უზრუნველყოფა სოციალური, სამედიცინო და სამართლებრივი მზრუნველობით;
- თვითმმართველობის იდეის ხელშეწყობა და გავრცელება;
- გმინის პოპულარიზაცია;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სხვა ქვეყნის ადგილობრივ და რეგიონალურ ასოციაციებთან ურთიერთობა.

„გმინის“ ორგანოების საქმიანობა (გამგებელი, ქალაქის მერი და გმინის საკრებულო) არის გამჭვირვალე. გამჭვირვალეობა გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას მოიძიონ ინფორმაცია, დაესწრონ გმინის საკრებულოს სესიებს და

კომისიის სხდომებს, ამავე დროს დოკუმენტების ხელმისაწვდომობას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი დავალებების შესრულებასთან, მათ შორის გმინის ორგანოების და გმინის საბჭოს კომისიის სხდომების პროტოკოლების, საბუთების ხელმისაწვდომობას და მათი გამოყენების წესებს ადგენს გმინის წესდება. გმინის მაცხოვრებლები იღებენ დასკვნებს საყოველთაო კენჭისყრაზე (არჩევნები და რეფერენდუმი) ან „გმინის“ ორგანოების შუამდგომლობით.

გამგებელი/მერი წარმოადგენს გმინის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხელმძღვანელობს გმინის მიმდინარე საქმიანობას და წარმოადგენს გმინას. მის მოვალეობებში შედის: გმინის საკრებულოს კანონაროექტების მომზადება, კანონების მიღების პროცედურის განსახლება, კომუნალური ქონების მოვლა, ბიუჯეტის შესრულება, აგრეთვე გმინის სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულების ხელმძღვანელების სამსახურში აყვანა/გათავისუფლება. მის მოვალეობებში შედის მოქმედების გეგმის დასახვა წყალდიდობამდე და ამავე დროს, წყალდიდობის საწინააღმდეგო განგაშის გამოცხადება და გაუქმება. თუ სხვა გზით ვერ მოხდება ხალხის სიცოცხლის ან ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მაშინ შეუძლია გამოაცხადოს ევაკუაცია უშუალოდ საფრთხეში არსებული ადგილიდან. იგი სამუშაოს ასრულებს გმინის მერიის/გამგეობის მეშვეობით, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ გახლავთ. საორგანიზაციო წესდებით განსაზღვრავს გმინის მერიის/გამგეობის ფუნქციონირების წესებს და ორგანიზაციას. მისი სახელით კონკრეტული საქმიანობის განხორციელება მერმა/გამგებელმა შესაძლოა გადასცეს მოადგილეს ან გმინის მდივანს. გმინის თანამშრომლებისა და გმინის ორგანიზაციული ერთეულების ხელმძღვანელების მიმართ ასრულებს სამსახურეობრივი ზედამხედველის როლს.

გმინის გამგებელი/მერი საკუთარი დავალებების შესრულებაში ვალდებულია გმინის საკრებულოს წინაშე, რომელიც არის საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ორგანო გმინაში.

გმინის საკრებულოს გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, როცა კრებას ესწრება გმინის საკრებულოს წევრთა არაუმცირეს ნახევრისა. კენჭისყრა არის გამჭვირვალე, თუკი კანონი არ ითვალისწინებს სხვა რამეს. საკრებულოს შემადგენლობაში შედიან წევრები შემდეგი რაოდენობით: გმინებში, რომლის

მოსახლეობა არ აღემატება 20.000 მცხოვრებს - 15 წევრი, გმინებში, რომლის მოსახლეობა არ აღემატება 50.000 მცხოვრებს - 21 წევრი, გმინაში, რომლის მოსახლეობა არ აღემატება 100.000 მცხოვრებს - 23 წევრი, გმინაში, რომლის მოსახლეობა შეადგენს არა უმეტეს 20.000 მცხოვრებს - 25 წევრი და ყოველ მომდევნო 100.00 მოსახლეზე გმინის საკრებულოს ემატება 3 წევრი, თუმცა მათი საერთო რაოდენობა არ აღემატება 45.

გმინის საკრებულოს მოვალეობებში შედის ყველა საკითხი, რაც გმინის საქმიანობის ფარგლებში შედის, თუკი კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გმინის საკრებულოს უშუალო პასუხისმგებლობაში შედის:

- გმინის წესდების მიღება;
- გამგებლის ხელფასის, მისი მოქმედებების მიმართულებების დადგენა და მისი ქმედებათა ანგარიშების განხილვა;
- გამგებლის დასკვნის საფუძველზე გმინის სახაზინოს უფროსის, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის მთავარ ბუღალტერს და გმინის მდივანს, სამსახურში მიღება და გათავისუფლება;
- გმინის ბიუჯეტის მიღება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სახსრების გამოყოფა/არგამოყოფის თაობაზე;
- გმინის მიწის მართვა, აგრეთვე მიწის მართვის ადგილობრივი გეგმების პირობების და მიმართულებების დადგენა;
- ეკონომიკური პროგრამების მიღება;
- დამხმარე ერთეულების მოქმედებათა ფარგლების განსაზღვრა, მათთვის ქონების გამოყენების და სხვადასხვა დავალებების შესრულებისთვის საბიუჯეტო სახსრების გადაცემის წესები;
- გადასახადების და მოსაკრებლების საკითხების შესახებ დადგენილებების მიღება სხვადასხვა კანონის ფარგლებში;
- დადგენილებების მიღება გმინის ქონების თაობაზე, რომლებიც სცდება ჩვეულებრივი მართვის სფეროს;

- თანხის მოცულობის დადგენა, რომლის ფარგლებშიც გამგებელმა შესაძლოა დამოუკიდებლად შეასრულოს მოვალეობები;
- დადგენილებების მიღება სამთავრობო ადმინისტრაციის, ან პოლიტიკისა და საოპერაციო სფეროში არსებული დავალებების შესრულების თაობაზე;
- დადგენილებების მიღება სხვა გმინებთან თანამშრომლობის ან ამ მიზნით შესაბამისი სახსრების გამოყოფის თაობაზე;
- დადგენილებების მიღება სხვა ქვეყნის ადგილობრივ და რეგიონალურ საზოგადოებებთან და ადგილობრივი და რეგიონალური საზოგადოებების საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობის თაობაზე;
- დადგენილებების მიღება გმინის გერბის, ქუჩების და მოედნების სახელების (იქნება ეს შიდა ქუჩები, თუ საზოგადოებრივი ქუჩები), ძეგლების დადგმის თაობაზე;
- დადგენილების მიღება გმინის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე;
- დადგენილებების მიღება სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის სტიპენდიების მინიჭების თაობაზე;
- დადგენილებების მიღება კანონით გმინის საკრებულოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ.

„გამჭვირვალე პოლონეთი“ – პროგრამის პრინციპები და კარგი გამოცდილების მაგალითები

პროგრამა „გამჭვირვალე პოლონეთი“ არის აქცია, რომელიც მიმართულია ყველა თვითმმართველობის ორგანოებისადმი პოლონეთში. მასში პოლონეთის თვითმმართველობის ორგანოები ნებაყოფლობით გაწევრიანდნენ და აიღეს თავის თავზე პასუხისმგებლობა შეესრულებინათ ბევრი დავალება, რაც დაკავშირებული იყო გამჭვირვალე თვითმმართველობის მოდელთან. პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა პოლონეთის თვითმმართველობის ორგანოების ერთმა მესამედმა. ყველა მათგანმა თავის თავზე აიღო შეესრულებინა ისეთი დამატებითი, მათთვის კანონით არ დაკისრებული მოვალეობები, იმისათვის, რომ გამხდარიყვნენ გამჭვირვალე, კორუფციისგან თავისუფალი და მოქალაქეთათვის ღია ორგანოები. პროგრამაში მონაწილეობასთან ერთად, ყოველ თვითმმართველობის ორგანოს უნდა შეესრულებინა ერთი სავალდებულო დავალება კარგი მმართველობის პრინციპებთან შესაბამისად. ეს პრინციპებია: **გამჭვირვალეობა, ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ, სამოქალაქო ჩართულობა, შორსმჭვრეტელობა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.**

გამჭვირვალეობის პრინციპი გამოკვეთილად არის წარმოდგენილი პოლონეთის კანონმდებლობაში ტერიტორიალური თვითმმართველობის შესახებ და კანონში საზოგადოებრივი ფინანსების შესახებ. მისი სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია მოძიებულ იქნას კანონში საზოგადოებრივი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, რომლის იდეაც მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაცია უნდა იყოს საყოველთაო, უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

კორუფციის შესახებ კონვენციის პრეამბულაში, რომელსაც პოლონეთმა ხელი 1999 წელს მოაწერა, ვკითხულობთ: „... კორუფცია საფრთხეში აგდებს სამართლიანობას, დემოკრატias, ადამიანთა უფლებებს, არღვევს საზოგადოების პატიოსნების პრინციპს, აფერხებს ეკონომიკურ წინსვლას და საფრთხეში აგდებს დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას და საზოგადოების მორალურ საწყისებს...“. თუკი არ არსებობს გამჭვირვალეობა, იქმნება კორუფციისთვის ხელისშემწყობი პირობები. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება დახურული და გაუმჭვირვალე გზით. საზოგადოების, როგორც მთლიანობის, ინტერესებს განეკუთვნება ადგილობრივ მოხელეთა ჯგუფის კერძო

ინტერესების სერიოზული შეზღუდვა. თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალებობა ხელს უწყობს მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ნდობის გაღვივებას, და ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ასე რომ, თუ გვსურს ცვლილებები შევიტანოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში – უნდა შეიცვალოს ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედების სტილი.

გამჭვირვალებობის პრინციპის შესაბამისად ყველა საქმიანობა, რომელიც საჯარო სახსრებით ხორციელდება უნდა იყოს გამჭვირვალე და ინფორმაცია ამ ქმედებათა შესახებ უნდა იყოს მოქალაქეთათვის იოლად ხელმისაწვდომი. ეს გულისხმობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უნდა იყოს საფუძვლიანად ინფორმირებული თვითმმართველობის ადმინისტრაციის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ თვითმმართველობის ფუნქციონირებას (დადგენილებები, კანონები, წესდებები, ბიუჯეტი) უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და მოსახლეობამ უნდა იცოდეს, როგორ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია. ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება იმ ადმინისტრაციული პროცედურების რეალიზაცია, რომლებიც მოქალაქეებს ეხებათ, ზღუდავს თვითნებური გადაწყვეტილების მიღების, დადგენილებებიდან გადახვევის, არასამართლიანი გადასახადების დაწესების და მოხელის ცუდი ნების შემთხვევაში პრობლემების შექმნის შესაძლებლობას.

თუკი მოქალაქეებს ეცოდინებათ, რომ ყველა გადაწყვეტილება არის საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ, იარსებებს მოქალაქეთა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა – წარმოიქმნება ურთიერთპასუხისმგებლობა ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით. საზოგადოების ნდობა დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ მიღებული მოქმედებების ხარისხის დადებით შეფასებასთან. იმის გაცნობიერება, რომ არსებობს მართვის გამჭვირვალე, გარკვეული და წინდახედული წესები, ხელს უწყობს ინდივიდუალურ დაგეგმვას და მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა მოქმედებების განხორციელებას.

ამ პრინციპთან დაკავშირებული სავალდებულო დავალება იყო თვითმმართველობის ორგანოს მიერ განხორციელებული ყველა მომსახურების აღწერის შემუშავება და მისი საჯაროდ გამოქვეყნება, ისე რომ მოქალაქეებს სცოდნოდათ, როგორ მოეგვარებიანთ ესა თუ ის კონკრეტული საკითხი, ვინ იყო ამ

საკითხზე პასუხისმგებელი და როგორი დოკუმენტები იყო საჭირო ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

გამჭვირვალების პრინციპთან დაკავშირებული ნებაყოფლობითი დაგალებები მოიცავდა შემდეგს: თვითმმართველობის ორგანოში საინფორმაციო სამსახურის ამუშავებას, მერიაში/გამგეობაში მარკირების სისტემის შემუშავება, საინფორმაციო პუნქტის შექმნა, თვითმმართველობის ვებ გვერდზე/ინტერნეტში დაშვების ცენტრების ქსელის შექმნა, ადგილობრივი საინფორმაციო დაფების შექმნა და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ეფექტიან და საყოველთაო ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გასაგები ენით და არა ჩინოვნიკური ენის სარგებლობა და გმინის/პოვიატის ფირმების კატალოგის შემუშავება.

მომსახურებათა ბარათი შეიცავს: სამართლებრივი საფუძვლების, საკითხის გადაწყვეტის ფორმის და ადგილმდებარეობის, საჭირო დოკუმენტების, მოსაკრებლის, საკითხის მოგვარების ვადების და სამართლებრივი აქტების გაუქმების წესის განსაზღვრას.

სამართლებრივი საფუძველი:

- სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს მოცემული საკითხის მოგვარების საფუძველს, უნდა იყოს აღწერილი ისეთი სიზუსტით, როგორც ეს არის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ან საკრებულოს დადგენილებების დროს (კონკრეტული მუხლი, სამართლებრივი აქტის სათაური, მიღების თარიღი, მონაცემები გამოქვეყნების შესახებ);

- მონაცემებში გამოქვეყნების შესახებ უნდა იყოს ინფორმაცია „შემდგომი შეტანილი ცვლილებების“ შესახებ (შესაძლოა იყოს აბრევიატურის სახით).

საკითხის გადაწყვეტის ადგილი:

- განცხადების შეტანის ადგილი;

- ადგილი, სადაც ფაქტიურად ხორციელდება მომსახურება;

- თუკი გამგეობის/მერიის მისამართი არის სათაურში, მაშინ გრაფაში “საკითხის გადაწყვეტის ადგილი” უნდა ჩაიწეროს საკითხზე პასუხისმგებელი განყოფილების სახელი, სართული და ოთახის ნომერი (თუკი მერია/გამგეობა ერთ

შენობაშია მოთავსებული), აგრეთვე ტელეფონის ნომერი, ან შიდა ნომერი.

- შედარებით მცირე ზომის ორგანოში სასურველია მოხსენიებული იყოს იმ პიროვნების სახელი და გვარი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ამ საკითხის გადაწყვეტას, აგრეთვე მისი თანამდებობის მითითება.

საკითხის გადაწყვეტის ფორმა:

- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მომსახურების შესრულებას (მოწმობა, დადგენილება, გადაწყვეტილება, წერილი, ხელშეკრულება, მაგ. ნაგვის გატანაზე);

- ბარათზე უნდა იყოს ინფორმაცია, თუ რა გზით იქნება შესაძლებელი მომსახურების შესრულების შესახებ დოკუმენტის გამოტანა და როგორ მიაწოდებენ ინფორმაციას პიროვნებას იმის თაობაზე, რომ დოკუმენტი მზადაა ასაღებად;

- ასევე საჭიროა ყველა იმ მოთხოვნის ზედმიწევნით ჩამოთვლა, რომელიც საჭიროა შესრულდეს დოკუმენტის აღებისათვის.

საჭირო დოკუმენტები:

- უნდა ჩამოითვალოს ყველა ის დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია მომსახურების შესასრულებლად და რომლებიც უნდა წარმოადგინოს განმცხადებელმა;

- დოკუმენტები უნდა იყოს ჩამოწერილი სახელწოდებების მიხედვით, ყოველი მათგანი ახალ ხაზზე;

- აუცილებელია თუ არა განცხადება: არის თუ არა აუცილებელი განცხადების ორიგინალის ჩაბარება, თუ საკმარისია ქსეროასლი (უნდა იყოს თუ არა ქსეროასლი დამოწმებული, თუ ასეა, მაშინ ვის მიერ, პირადობის მოწმობის შემთხვევაში მინიშნებული უნდა იყოს თუ რომელი გვერდის ასლის გადაღებაა საჭირო);

- აუცილებლად უნდა იყოს მინიშნებული, თუ დოკუმენტი განკუთვნილია ინსპექციისთვის, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იყოს დასახელებული ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ეხება ეს მოქმედებები;

- უნდა იყოს დაკონკრეტებული აქტუალიზაციის საკითხიც, განსაკუთრებით მოწმობების, რუქების და აღწერების მოთხოვნის დროს.

სახაზინო მოსაკრებელი:

- სახაზინო მოსაკრებელთან ერთად აუცილებელია მითითებული იყოს ინფორმაცია გადახდის ფორმის

შესახებ, მაგ. „განცხადებაზე დართული სახაზინო მარკების ფორმით / სახაზინო მოსაკრებლის მარკა, განცხადებაზე დაკრული“ ან „... მოსაკრებელი შესაძლოა გადახდილ იქნას გამგეობის/მერიის სალაროში დამატებითი გადასახადების გარეშე ან უშუალოდ გადაირიცხოს ანგარიშზე ... მოწმობის აღებისას წარმოდგენილ უნდა იქნას გადახდის კვითარი ან ტრანზაქციის ქსეროასლი“.

საკითხის გადაჭრის დრო:

- აუცილებელია დასახელებული იყოს საკითხის გადაჭრისათვის საჭირო საშუალო ვადები, ამავე დროს სასურველია აღინიშნოს, რომ ეს ვადები შესაძლოა გადაიწიოს (რის შესახებაც განმცხადებელი პასუხს ფოსტით მიიღებს).
- იმ მომსახურებების დროს, რომელთა განხორციელებაც ხდება მომენტალურად, გამოთქმა „დაუყოვნებლივ“ შესაძლოა შეიცვალოს „აღვიღზევე, განცხადების ჩაბარების დროს“, და მისთ.

სამართლებრივი აქტების გაუქმების წესი:

- ბარათზე უნდა იყოს მოთავსებული ინფორმაცია გაუქმების წესების შესახებ.
- კარგია დამატებითი ინფორმაციის დასახელება, მაგ.: „გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ იღებს თვითმმართველობის გაუქმების კოლეგია... ; გაუქმების შესახებ განცხადება უნდა ჩაბარდეს ... ; მოსაკრებელი გაუქმების შესახებ შეადგენს... ; თანხის გადახდა უნდა მოხდეს სახაზინო მარკების სახით – მიწებებული გაუქმების დოკუმენტში“.

საზოგადოების ჩართულობის პრინციპი გულისხმობს ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეებში მოქალაქეთა ჩართვის გადამწყვეტ მნიშვნელობას. წარმატების დონე საზოგადოებრივ ჩართულობაში დამოკიდებულია იმ ადამიანთა მოსაზრებებზე, რომლებიც არიან თვითმმართველობის ხელისუფლებაში. გამგეობის/მერიის მოვალეობა არის ხელი შეუწყონ მოსახლეობის ორგანიზებულობას, აგრეთვე აწარმოონ დიალოგი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან, იმისათვის რომ მათ მონაწილეობა მიიღონ პრობლემების გადაწყვეტასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საზოგადოებრივი ჩართულობისათვის ბევრი ბარიერი არსებობს, ძირითადად, თვითმმართველი ორგანოების მხრიდან, რომლებიც შესაძლოა არ ფლობდნენ საკმარის ცოდნას ამგვარ სიტუაციებში. ზიანის მომტანი შეიძლება იყოს აგრეთვე ხელისუფლებაში მყოფი პირების ფარული მიზნები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ინტერესებთან, ან ძალაუფლების დაკარგვისა და საზოგადოების მხრიდან კრიტიკის პირადი შიში. შესაძლებელია შედეგიანი საზოგადოებრივი ჩართულობა ურთიერთნდობის საფუძველზე: მოსახლეობის ნდობა ხელისუფალთა მიმართ, ისევე როგორც, ხელისუფლების ნდობა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენების ცოდნისა და ჭკუისადმი. მოსახლეობამ უნდა გაითავისოს, რომ მათ ჩართვას საზოგადოებრივ საქმეებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირობების და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. ასე რომ, ის ძირითადი პრინციპები, რომლის გარეშეც არ შეიძლება წარმატებაზე საუბარი არის: პარტნიორობა, ნდობა, გამჭვირვალება, პარტნიორობის მიმართ პატივისცემა, კომპრომისზე წასვლის სურვილი, პრობლემებზე კონცენტრირება, პატიოსნება და გულწრფელობა მიზნებში.

საზოგადოებრივ ჩართულობას აქვს უამრავი დადებითი მხარე. უპირველეს ყოვლისა, ყალიბდება ურთიერთობა მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. საზოგადოებასთან კონსულტაცია პრობლემის გადაჭრის გზების თაობაზე ზრდის შედეგიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ამავე დროს ამცირებს საზოგადოებრივ კონფლიქტებს. ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობის გაზრდის შედეგად ხდება ადგილობრივი საზოგადოების პრობლემების შედეგიანი გადაჭრა. ხდება ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია პრობლემების გადაჭრისა და განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განსახორციელებლად.

ამ პრინციპთან დაკავშირებული სავალდებულო დავალება იყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი პროგრამის შემუშავება და განხორციელება – არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური თანამშრომლობისგან დამოუკიდებლად. ეს ვალდებულება გამომდინარეობს კანონიდან საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის და მოხალისეობის შესახებ. ეს პროგრამა უნდა გამხდარიყო ყოველი ორგანიზაციისათვის მომავალი

მოქმედებების დაგეგმვის საფუძველი და მას ხელი უნდა შეეწყო თვითმმართველობასა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის საჯაროდ ცნობილი მიზნების საფუძველზე.

ამ დავალების ეტაპებია:

- დავალების შესრულებისთვის საორგანიზაციო ჩარჩოების მომზადება;
- გმინის/პოვიატის და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის ორგანიზება თანამშრომლობის პროგრამის შემუშავების საკითხებზე;
- საკონსულტაციო ჯგუფის მოწვევა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში;
- პროგრამასთან დაკავშირებით ორგანიზაციებთან კონსულტაცია;
- თანამშრომლობის მრავალწლიანი პროგრამის პროექტის მომზადება;
- არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგის, კოორდინირების და ანგარიშგების წესების დადგენა;
- კონსულტაციის შედეგების ანალიზი და პროგრამის საბოლოო ვერსიის მომზადება.

ყველაზე უფრო ხშირად დაშვებული შეცდომები ამ პრინციპთან დაკავშირებით არის შეხვედრაზე და კონსულტაციებზე მხოლოდ „ამორჩეული“ ორგანიზაციების მოწვევა და გამგეობის/მერიის მიერ როგორც თანამშრომლობის პროგრამის შინაარსის და საკონსულტაციო ჯგუფში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ვინაობის თავს მოხვევა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს შეცდომები აუცილებელია არ გამოარჩიონ ორგანიზაციები და არ ჩაერიონ მათ როლსა და კომპეტენციაში. აუცილებელია – ორგანიზაციებს შეექმნათ პირობები თავისუფლად აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები საკონსულტაციო ჯგუფში და მოდეს მათი განცხადებებისა და შემოთავაზებების გათვალისწინება პროგრამის შინაარსის მომზადებაში და მოხდეს იმის გააზრება, რომ ხსენებული თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი არის პარტნიორობა.

ამ პრინციპთან დაკავშირებული ნებაყოფლობითი დავალებებია: გმინის ტერიტორიაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა (ორგანიზაციასთან ერთად მინიშნებული უნდა იყოს მათი მოღვაწეობის სფერო) „აქტიურობის რუქის“ შედგენა, ეთიკის სფეროში საზოგადოებრივი განათლების ჩატარება, სასკოლო განათლების სისტემაში საზოგადოებრივი ეთიკის სფეროში გაკვეთილების შემოღება, დიალოგის და თანამშრომლობის ფონის შექმნა ბიზნეს-ორგანიზაციებთან და მოსახლეობისთვის საკანონმდებლო ინიციატივების შესაძლებლობების შექმნა.

გმინის ორგანოების არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ერთეულებთან **თანამშრომლობის ბარათი**, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას, მოიცავს შემდეგს: შესავალი, პარტნიორობის დასახელება, თანამშრომლობის წესების და ფორმების დასახელება, რესურსების დასახელება, ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის მხარდაჭერის პრინციპები და ბარათის განხორციელების შეფასება.

პარტნიორობი:

- ქალაქის საკრებულო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პოლიტიკის შექმნასა და წლიური პროგრამების მიღებაში;
- გამგებელი/მერი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზაციაზე, დოტაციის გაცემაზე, წლიური პროგრამების ფარგლებში ორგანიზაციებისადმი სხვადასხვა ფორმის დახმარების გამოყოფაზე;
- მდივანი, რომელიც პასუხისმგებელია თანამშრომლობის და ორგანიზაციებთან არსებული კონტაქტების კოორდინირებაზე;
- გმინის ორგანიზაციული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციებთან მიმდინარე ურთიერთობებზე;
- არასამთავრობო ორგანიზაციები – თანამშრომლობით დაინტერესებული ყველა ორგანიზაცია;
- საკონსულტაციო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიერ დახმარების შესახებ განაცხადების შეფასებაზე, თანამშრომლობის ახალი ფორმების

ინიცირებასა და თანამშრომლობის ბარათების შეფასებაზე;

თანამშრომლობის პრინციპები:

- ურთიერთდახმარება (გამგებელი ორგანიზაციას ავალებს საზოგადოებრივ დავალებათა რეალიზაციას, ორგანიზაციები კი თავის მხრივ უზრუნველფენ მათ შესრულებას);
- სუვერენიტეტი (პარტნიორებს ხელშეკრულების ფარგლებში შეუძლიათ დამოუკიდებლად აირჩიონ მეთოდები, ადგილმდებარეობა, დავალებათა შესრულების ფორმები და დავალების შემსრულებლები, ამავე დროს თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას შედეგებზე);
- პარტნიორობა (კომპრომისი, შეხედულებებისა და ინფორმაციის გაცვლა, აქტიური თანამშრომლობა);
- ეფექტურობა (დავალების შესრულების ძირითადი კრიტერიუმი გაღებული ხარჯების ფარგლებში მაქსიმალური შედეგების მიღწევაა);
- პატიოსანი კონკურენცია და გამჭვირვალობა (პარტნიორები უნდა იყვნენ პატიოსანი და კეთილსინდისიერი ერთმანეთის მიმართ, საქმიანობა და პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე და ყველასათვის გასაგები, ყველა პოტენციურ რელიზატორებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციისადმი და თანაბარი შესაძლებლობა მოიპოვონ დახმარება).

თანამშრომლობის ფორმები:

- ორგანიზაციისა და თვითმმართველობის რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დავალების შესასრულებლად ორგანიზაციებისთვის დოტაციების გამოყოფა;
- ერთობლივი შეხვედრები, ინფორმაციის გაცვლა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ტრენინგების ორგანიზება;
- ტრანსპორტის, მოწყობილობების, ფართის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- განხორციელებული საქმიანობის ერთობლივი პოპულარიზაცია;

- თანამშრომლობა საკონსულტაციო-მრჩეველთა ჯგუფის ფარგლებში;
- მოხალისეობის მხარდაჭერა და გავრცელება;
- ორგანიზაციების დახმარება გარე წყაროებიდან დამატებითი სახსრების მოპოვებაში;
- ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრების და მოხალისეების ცოდნა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, იდეები, ენთუზიაზმი და დრო;
- მოქმედებათა პროცედურები, კონტაქტები, საინფორმაციო არხები;
- ადგილმდებარეობები, ფართობი;
- მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები;
- ფინანსური რესურსები.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ გმინის ტერიტორიაზე მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- ბარათის გადაწყვეტილებები ეხება მხოლოდ ორგანიზაციებს, ისეთ ერთეულებს, რომლებიც არ მოქმედებენ ორგანიზაციის ფორმით, შეუძლიათ ისარგებლონ იმ დახმარებით, რომელიც გამომდინარეობს ბარათის დადგენილებებიდან და პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანი საკითხებიდან შემდეგი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით:

- გმინის ინტერნეტ-გვერდების მეშვეობით;
- პარტნიორების ინტერნეტ-გვერდების მეშვეობით;
- გმინის ან ორგანიზაციის ინიციატივით ორგანიზებული პარტნიორების შეხვედრებზე;
- ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მხარდაჭერის ფორმები:

- დოტაციები სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებების განხორციელებისთვის, რომლებიც გმინის თვითმმართველობის პასუხისმგებლობაში შედის და თანამშრომლობის შესახებ წლიური პროგრამითაა გათვალისწინებული. დავალებათა რეალიზატორები

მოწვეულნი არიან ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მოქმედებს ღია, გამჭვირვალე წესები და რაც უზრუნველყოფს პარტნიორების თანაბარ მოპყრობას. გამგებელი კონკურსის გამოცხადების წინ ორგანიზაციებს გადასცემს შეფასების კრიტერიუმებს. ორგანიზაციის მიერ ჩაბარებული განცხადებები დოტაციაზე მოწმდება საკონსულტაციო კომიტეტის მიერ. გამგებელი/მერი იღებს გადაწყვეტილებას დოტაციის გამოყოფის თაობაზე საკონსულტაციო კომისიის დასკვნების და შეფასებების, ისევე როგორც დავალების რეალიზაციაზე გამოყოფილი ფინანსური სახსრების რაოდენობის გათვალისწინებით. ინფორმაცია განცხადებათა დაწერილებითი შეფასების შესახებ და გაცემული დოტაციის შესახებ განთავსდება საზოგადოებრივი ინფორმაციის ბიულეტენში და მერიის/გამგებლის განცხადებათა დაფაზე. ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს დოტაციას გმინისგან, ვალდებულია დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა საინფორმაციო მასალაში, მიუთითოს: „პროექტი დაფინანსებულია A გმინის მიერ“.

- **ფართის** დაქირავება სასურველ პირობებში, ანუ ქირის გადასახადის გარკვეული ნაწილისგან და უძრავი ქონების დაქირავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლისგან გათავისუფლება. ფართები, რომლებიც ამ პირობებით არის გაქირავებული აუცილებელია გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციის წესდების მიხედვით და დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის წარმოებასთან. ფართის მუდმივი დაქირავების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არიან სამართლებრივი პირები.

- **შეხვედრების ადგილი** – გამგებლის/მერიის საკონფერენციო დარბაზების ან სხვა ფართებით უფასო სარგებლობა, რომელთაც გამოიყენებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეებთან დაკავშირებულ შეხვედრების და ტრენინგების ჩასატარებლად.

- **გარე წყაროებიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრები**
– რჩევების სახით დახმარება გრანტებისა და დოტაციების შესახებ დასკვნების მომზადებაში, სხვადასხვა საინტერესო პროგრამების შესახებ

ინფორმირება, რომლებიც შიდა წყაროებით არის დაფინანსებული, გარე სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ტრეინინგების თანადაფინანსება, ორგანიზაციის მიერ განაცხადის შეტანა პროექტის ღირებულების არაუმეტეს 20%-ს თანადაფინანსებლად გარე სახსრებიდან.

- **ტრეინინგებისა და კონსულტაციების ჩატარება** ორგანიზაციის საქმიანობის პროფესიონალიზმის გაზრდის მიზნით;
- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** – ბიულეტენის ან გამგეობის/მერიის ინტერნეტ გვერდის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის შესახებ;
- **საერთაშორისო კონტაქტები** – დახმარება პარტნიორი გმინების ქალაქებში მსგავს ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებაში;
- **გმინის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება** – გმინის სატრანსპორტო საშუალებების უფასოდ ან ხელმისაწვდომ პირობებში გამოყენება საზოგადოებრივ საქმესთან დაკავშირებული მასალის თუ პირების ტრანსპორტირებისათვის.

ბარათის რეალიზაციის შეფასება

- ხორციელდება პარტნიორების მეშვეობით და შედეგები წარმოდგენილია გმინის ყოველწლიურ თანამშრომლობის ფორუმზე.

სასარგებლო გამოცდილება – გროჯისკ ვიელკოპოლსკის გმინისა და ქალაქის მერიის

მოქალაქეთა მომსახურების ბიურო

მოქალაქის პროფესიონალური, სწრაფი და შედეგიანი მომსახურება ეს თანამედროვე თვითმმართველობის ადმინისტრაციის წინაშე არსებული ერთადერთი მოთხოვნა არ არის. თანამედროვე მერია/გამგეობის ძირითადი თვისება ასევე თავისი მოქმედებების გამჭვირვალობა, მომსახურებათა ხელმისაწვდომობა და მისი გამარტივებაა. ამისაკენ მიმავალი გზა კი უთუოდ არის თანამშრომლების კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა, მართვის უახლესი მეთოდების გამოყენება, კომპიუტერიზაცია და ა.შ.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფერმაც შესაძლოა ვერ მიგვიყვანოს სასურველ შედეგამდე, თუკი არ დაგამარცხებთ ერთ-ერთ იმ ბარიერს, რომელიც წლების მანძილზე იქმნებოდა და არ შეეცვლით მოხელეთა და ჩვენი კლიენტების მენტალიტეტს. სიტყვა კლიენტი მიზანმიმართულად გამოვიყენეთ, ვინაიდან არსებითად სწორედ ეს სიტყვა უნდა იქნას გამოყენებული. ეს ცვლილება სწორედ მოქალაქეს – კლიენტს და მოხელეს შორის ურთიერთობის დამყარებას გულისხმობს. ამ უკანასკნელმა უნდა იცოდეს, რომ ის მერიაში/გამგეობაში მუშაობს კლიენტისთვის, იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკეთ მოემსახუროს მას, რომ შექმნას საუკეთესო პირობები და მეგობრული ატმოსფერო. კლიენტმა – ჩვენმა მაცხოვრებელმა არ უნდა იგრძნოს თავი ზედმეტად და მოხელის „სიმშვიდის“ დამრღვევად. მოქალაქე მერიაში შესვლისთანავე უნდა შეამჩნიონ, ის უნდა გაეზავნონ შესაბამის ადგილას და მოემსახურონ და არ უნდა იგრძნოს თავი დაბნეულად და თავისი პრობლემის გამო შემოფოთებულად.

დღეს უკვე *მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის (BOM)* ფუნქციონირებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემოდების გადაწყვეტილების მიღება ნამდვილად მართებული იყო. ეს არ არის მხოლოდ ქალაქის ხელმძღვანელობის, მოხელეების შეფასება, არამედ უპირველეს ყოვლისა ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი კლიენტების შეფასებაა.

BOM-ს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელი იყო შესწავლა, თუ როგორ ფუნქციონირებდა ის

სხვა მერიებში/გამგეობებში, რომლებთაც უკვე შემოღებული ჰქონდათ მსგავსი მომსახურება.

დასკვნებიდან გაირკვა, რომ არ არსებობს იდეალური ვარიანტი, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა გადმოგვეტანა „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ ქალაქის მერიაში. ყველა ქალაქის მერიას გააჩნია თავისი სპეციფიკა, კადრების და ფართის შესაძლებლობა. ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ მერიის შენობა იყო ისტორიული ძეგლი – ძველი რატუში, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის განლაგება დიდ პრობლემას წარმოადგენდა. კლიენტი მერიაში შესვლისთანავე უნდა ხედავდეს მოხელეს, და მოხელე კლიენტს. ამ პირველ კონტაქტს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მოთხოვნა საბოლოოდ დაკმაყოფილებულ იქნა. BOM კარგავს თავის აზრს, თუკი მისი ადგილმდებარეობა ცუდადაა გადაწყვეტილი.

BOM-ის სათანადო ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მეორე პირობა, არანაკლებ მნიშვნელოვანი არის კადრები. ამ სფეროში ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომაა BOM-ში მერიის საქმიანობისა და მისი სპეციფიკის არმცოდნე პირთა, ხშირად სტაჟორებისა და პრაქტიკანტების დასაქმება. ასეთი გადაწყვეტილებები არ აძლევს მაცხოვრებელს სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას საქმის მოგვარების ფორმის, გზის, მოსაკრებლების შესახებ.

„გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ მერიის ხელმძღვანელობა განიხილავდა BOM-ს როგორც მერიის ფუნქციონირების ძალიან მნიშვნელოვან ელემენტს, ამიტომაც იქ სამუშაოდ მიაგლინა გამოცდილი, კომპეტენტური და ამავე დროს კლიენტებისადმი პოზიტიურად განწყობილი თანამშრომლები, რაც ხელს უწყობდა კლიენტის ნდობის გაღვივებას. იდეალურ შემთხვევაში კლიენტი აქ – მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში აგვარებს ყოველგვარ პრობლემას. თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია კლიენტი სათანადოდ იქნას ინფორმირებული და გაეზავნილი შესაბამის განყოფილებაში, შესაბამის მოხელესთან. ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება მოხდეს, „თავიდან მოცილების, ან უყურადღებობის“ მიზეზით. ასეთი ქცევის გარანტს იძლევა მხოლოდ გამოცდილი და მერიის ფუნქციონირებაში კარგად გარკვეული თანამშრომელი.

BOM-ის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდებს ასევე მერიის თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვის დონე, ასევე საქმიანობის წარმოება ელექტრონული გზით და მოსახლეობის

ხელმისაწვდომობა მათდამი. ამ სფეროში „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ მერიაში შეინიშნება მუდმივი წინსვლა. ხარისხის მართვის სისტემის ISO-ს შემოღება, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვა, თანამშრომლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლება თვითგანათლების, კურსების, უმაღლესი და შემდგომი განათლების მეშვეობით. ყველაფერი იმისთვის – რომ კლიენტი იყოს კმაყოფილი მერიის მომსახურებით.

ISO ქალაქის მერიაში

ISO-ს შემოღება მერიებში მიზნად ისახავს მოსახლეობის ნდობის და კმაყოფილების გაზრდას მერიის მიერ გაწეული მომსახურებების მიმართ, მომსახურების გაწევის ვადების შემოკლებას, მერიის შიდა ატმოსფეროს და მისი ფუნქციონირების შედეგიანობის გაუმჯობესებას, ფინანსური სახსრების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამავე დროს, ამა თუ იმ თანამშრომლის მოვალეობებისა და კომპეტენციების ზუსტ განსაზღვრას და მოხელეთა მუშაობის ობიექტური შეფასების საფუძვლის შექმნას.

ასევე მნიშვნელოვანია მომსახურებების, პროცესების და სისტემების მუდმივი გაუმჯობესება, ისევე როგორც გადაწყვეტილებების მიღება გაანალიზებული ფაქტების საფუძველზე. მერია, როგორც საჯარო სამსახურის უწყება უნდა იყოს მიმართული კლიენტზე. აუცილებელია არა მხოლოდ კლიენტის ამჟამინდელი მოთხოვნილებები, არამედ მომავალი მოთხოვნილებებისა და მოლოდინის გათვითცნობიერება, რაც საშუალებას მისცემს მერიას გახდეს უფრო წინდახედული და ნდობის ღირსი.

გადაწყვეტილება ხარისხის მართვის სისტემის PN – EN ISO 9001 – 2001-ის ნორმების შემოღების შესახებ „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ მერიაში მიიღო ქალაქის გამგებელმა 2005 წლის ივნისში.

2005 წლის 10 ნოემბერს, გამგებლის გადაწყვეტილებით დაინიშნა წარმომადგენელი ხარისხის მართვის სისტემის საკითხებში. იმავე წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებებით მიღებულ იქნა ხარისხის მართვის პოლიტიკა და შემოღებულ იქნა ხარისხისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვის სისტემა PN – EN ISO 9001 – 2001-ის ნორმებთან შესაბამისად. იმავე დღეს „გროჯისკ ვიელკოპოლსკის“ მერიაში

დამტკიცდა ხარისხის მართვის სისტემის ქურნალი PN – EN ISO 9001 – 2001-ს ნორმების შესაბამისად.

2006 წლის 20-21 მარტს გაიმართა სასერთიფიკაციო აუდიტი, რომელიც დასრულდა შედეგიანად. საბოლოო შეფასების დროს, აუდიტის ავტორი ხაზს უსვამს აშკარა ორიენტაციას „კლიენტზე“. მისი აზრით, სისტემა ემყარება უამრავ ძლიერ მხარეს, რომლებსაც წარმოადგენს:

- უმაღლესი ხელმძღვანელობის თვალწინო მონაწილეობა ქალაქის და გმინის, ისევე როგორც მერიის მმართველობაში, სხვადასხვა ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება, მერიისა და მისი თანამშრომლების იმიჯზე ზრუნვა, და ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მოქალაქე გარანტირებული იყოს უმაღლესი ხარისხის პროფესიონალური მომსახურებით კომპეტენტური და მაღალკვალიფიციური მოხელეების მიერ;
- მერიის ყველა თანამშრომლის სრული მონაწილეობა ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნილებების დანერგვაში;
- მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს ამუშავება.

ამავე დროს განსაკუთრებულად აღინიშნა სრულყოფილებიანი წარმომადგენლის შედეგიანი გარჯა – მისი მონაწილეობა, ახლადშემოდებული სისტემის გუნდის მართებული შერჩევა, რაც იძლევა პროგრამის მომავალი განვითარებისა და მისი მუდმივი დახვეწის გარანტიას.

PN – EN ISO 9001 – 2001-ს სერტიფიკატი მერიას მიენიჭა 2006 წლის 30 მარტს. ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიცირება მიზნად ისახავს ქალაქის მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებლობის მინიჭებას – შორ პერსპექტივაში კი – კლიენტების უზრუნველყოფა მაღალი დონის მომსახურებით, ამავე დროს მუდმივი მცდელობა მისი სრულყოფისაკენ. სრულყოფის პროცესი კი ყოველწლიურად არის შეფასებული ზედამხედველობის აუდიტის მიერ. ეს ყველაფერი იმისთვისაა საჭირო, რომ უფრო უკეთ განხორციელდეს მისია „გროუისკ ვიელკოპოლსკის მერიის პროფესიონალური სასარგებლო ინვესტირებისათვის საქმიანობა“, შემდეგი საშუალებებით:

- სამართლებრივი აქტების ფარგლებში მოქმედება;
- მოსახლეობის მოთხოვნილებების კვლევა და ანალიზი;
- კლიენტთა მოთხოვნილებების შესრულება;

- საზოგადოებრივ აზრის მოსმენა;
- მოსახლეობის ჩართვა საქმიანობაში;
- ქალაქის განვითარების სტრატეგიით მიღებული დავალებების შესრულება;
- ბუნებრივი გარემოს დაცვა.

მერიის ყველა თანამშრომელმა უნდა გააცნობიეროს, რომ მათ მიერ შესრულებული ყოველი მოქმედება უნდა ემსახურებოდეს კლიენტის სრულ დაკმაყოფილებას. ამის გათვალისწინებით ისინი მოვალენი არიან შემდეგში:

- მერიაში საკითხთა გადაჭრასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
- საკითხთა დროული, მიუკერძოებელი, მართებული და ღია გადაჭრა;
- მომსახურებების შესრულების დონის შეფასებების მხედველობაში მიღება;
- მერიის თანამშრომლების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება;
- კონკრეტული თანამშრომლების მოვალეობების გამჭვირვალედ განსაზღვრა;
- ხარისხის მართვის სისტემის, რომელიც ასრულებს PN – EN ISO 9001 – 2001-ის ყველა ნორმის მოთხოვნას, განხორციელება, შენარჩუნება და მუდმივი დახვეწა;
- ზემოთ ხსენებული მიზნების შესრულებისთვის პირობების უზრუნველყოფა.

გროჯისკ ვიელკოპოლსკის იოანე პავლე II სახ. გარემოს დაცვის ცენტრი

გარემოს დაცვის ცენტრის შექმნის იდეა ეს არის „გროჯისკის“ თვითმმართველობის პასუხი თავისუფალი დროის გატარების ალტერნატიული შესაძლებლობების არქონასა ჩვენი ადგილობრივი საზოგადოების სამსახურეობრივად პასიური ნაწილის, განსაკუთრებით ხანში შესულებისთვის.

უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისიდან „გროჯისკ ვიელკოპოლსკიში“ ადგილი ჰქონდა ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმოების, ხორცის ქარხნის დახურვას, და საგადასახადო ვალების შედეგად 2002 წელს გმინას მფლობელობაში გადაეცა ორი ადმინისტრაციული შენობა. ორივე გათვლილი იყო საზოგადოებრივ საქმიანობაზე – პირველი გამოყენებულ იქნა ზემოთ აღნიშნული დანიშნულებისათვის, ხოლო მეორე ათვისების შემდეგ იქნება სოციალური დახმარების ცენტრი – უწყება, რომელიც განახორციელებს სოციალური დახმარების გმინის და სახელმწიფო დავალებებს.

2003 წლის პირველ ნახევარში მიღებულ იქნა კონცეფცია დანიშნულების შესახებ, რომლის მიხედვითაც საზოგადოების უდიდეს ჯგუფს, რომელიც გმინის ამ ცენტრით სარგებლობდა წარმოადგენდა ხანში შესული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. სპეციალურად ორგანიზებულ კონფერენციაზე განისაზღვრა მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები:

- დღის ტიპის ცენტრი ვარჯიშის თერაპიით და რეაბილიტაციისთვის საჭირო დარბაზებით უზრუნველყოფილი;
- კრიზისის გადალახვის პუნქტი;
- სასადილო;
- არასამთავრობო ორგანიზაციათა ოფისები.

ხოლო უახლოეს მომავალში

- ხანში შესული ადამიანებისთვის პანსიონატის ტიპის ბინები

კონფერენცია, რომლის სახელიც იყო „ჩვენ თვითონ – გარემოს ევროპული დახმარების მიმართულებით“ მიზნად ისახავდა ადგილობრივი გარემოს გაცნობას შენობის გადაცემით.

ადგილობრივ მცხოვრებთა მუდმივი დაინტერესების, ინტენსიური სამუშაოების, გმინის, ისევე როგორც წყლის ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სავოევოლო ფონდის, უნარშეზღუდული პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის და სხვა სპონსორთა დაფინანსებით, იდეის

წარმოშობიდან 3 წელიწადში 2006 წლის 25 აპრილს გაიხსნა შენობა და გადაეცა ექსპლოატაციაში ადრესატებს.

ცენტრის ერთწლიანმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ არის სოციალური საკითხების გადაწყვეტის კარგი მაგალითი, ამავე დროს უწყება არ უნდა შემოიფარგლოს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობით. ეს ადგილი მუდმივად ზრდის თავის პროგრამულ შემოთავაზებებს. როგორც გმინის ერთეული, ეკუთვნის საზოგადოებრივი დახმარების ცენტრს. ასრულებს გმინის მიერ დაფინანსებულ დავალებებს, თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დაარსებიდანვე მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა საჭირო სახსრების არასაბიუჯეტო წყაროებიდან მოპოვებაა, მათ შორის უნარშედეგულთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი და ვიელკოპოლსკის საგოეოდოს მიერ გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე.

მოპოვებული სახსრების წყალობით მოხერხდა სარეაბილიტაციო დარბაზის, კომპიუტერული დარბაზის აღჭურვა, ამავე დროს სემინარების ციკლების ჩატარება, მაგ. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, თავდაცვის, აღმზრდელობითი უნარ-ჩვევების, ცეკვის გაკვეთილები და რეაბილიტატორისა და მასაუისტის დაქირავების თანხები.

დღის ტიპის პანსიონატის ფუნქციონირებაში შედის აქტივობის თერაპია და მოძრაობის რეაბილიტაცია, რომელიც რასაკვირველია ხელს უწყობს აქტივისაციასა და განწყობის გაუმჯობესებას, ესმარება პიროვნებას ახლობლებისა და გარემოსგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებაში. აქ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ბევრი ადამიანისათვის ეს ადგილი მეორე სახლად იქცა. დაინტერესებული ადამიანებისთვის ასევე ტარდება აქტივობის თერაპია სხვადასხვა ხელსაქმის დარგში. ხშირად ირკვევა, რომ ბევრმა არც კი იცის მასში არსებული მიძინებული ნიჭი. ამავე დროს გაამართლა ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ლაბორატორიის შექმნის იდეამაც. გაირკვა, რომ ბევრი, თუნდაც ხანდაზმულ ასაკში, მხარს უბამს ტექნიკის განვითარებას და ტოლს არ უდებს ახალგაზრდა თაობას. ამავე დროს დაწესებულების განვითარების მორიგი მაგალითია მომდერალთა გუნდის ჩამოყალიბება ცენტრის გახსნისთანავე, რომელსაც სახელი ქალაქის სახელის მიხედვით შეურჩიეს: „გროჯიშჩანელები“.

კრიზისის დაძლევის პუნქტის საქმიანობის ფარგლებში ორი ფსიქოლოგის ხელმძღვანელობის ქვეშ ფუნქციონირებს საკონსულტაციო პუნქტი, რომელშიც ძირითადად იღებენ

საოჯახო ძალადობის მსხვერპლებს. მძაფრი კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ძალადობის მსხვერპლთა მოძალადეებისგან იზოლაცია, მათთვის განკუთვნილია ორი ოთახი.

სასადილო და სამზარეულო, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით განკუთვნილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისთვის, ხოლო ზამთარში აქ გაიცემა უფასო სადილი დაახლოებით 50 ადამიანზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ მის დამოუკიდებლად მომზადებას.

ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც ქალაქის თუ გმინის ტერიტორიაზე მოქმედებდა და არ ჰქონდა საკუთარი ოფისი ან იყოფდა ფართს სხვა უწყებებთან, გამოეყოთ ფართი ცენტრში. ამავე დროს ცენტრის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა გაერთიანებების და ასოციაციების შექმნას: „გროჯისკის ამზონკები“ ან „გროჯისკის საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერის ასოციაცია“. პირველი მათგანის მიზანია მიტოვებული მარტოხელა ქალების დახმარება რეაბილიტაციაში, მეორეს მიზანი კი არის გმინის ობიექტის მოვლაში ხელის შეწყობა და საქმიანობის განვითარება სახსრების გარეთა წყაროებიდან მოპოვების მეშვეობით. ორგანიზაციებისა და ასოციაციების მრავალფეროვნება იწვევს ბუნებრივ რეაქციას – თაობებს შორის ურთიერთგაცვლას. ორგანიზაციათა საქმიანობის სფერო ისე მრავალფეროვანია, რომ შეხვედრების დროს, ჩნდება იდეები სამი თაობის ინტეგრაციის შესახებ. ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს ტვეადი დარბაზები და ობიექტის გარშემო ტერიტორიის ათვისება ტალავერთან ერთად, რომელიც გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომაზე გამოიყენება რიგი ღონისძიებებისთვის. ცენტრის უდიდესი წარმატებაა ასევე დღესასწაულის „გროჯისკის“ დღის ზეიმი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ხანში შესულთა ანსამბლები სხვადასხვა ადგილებიდან, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ხანდაზმულთა ჯგუფების დამეგობრებასა და ურთიერთსტუმრობას ახლომდებარე ღონისძიებებზე, აგრეთვე დროის ორიგინალურად, ერთად გატარებას.

ოპტიმიზმის საბაბს იძლევა ფაქტი, რომ ერთწლიანი მუშაობის შემდეგ დავრწმუნდით, თუ რაოდენ საჭიროა ეს ადგილი. ამაზე მეტყველებს მასში მონაწილე ადამიანთა მზარდი რიცხვი, რაც ამჟამად 90 ადამიანს – მუდმივ მონაწილეს ითვლის. ისინი ამბობენ, რომ ცენტრში ჩნდება

თავისუფალი დროის გატარების ახალ-ახალი საინტერესო იდეები.

„გროჯისკის“ სამრეწველო სექტორი

„გროჯისკ ვიელკოპოლსკაში“ სამრეწველო საინვესტიციო ტერიტორიის შექმნის იდეა წარმოიშვა 90-იან წლებში, როცა გმინამ *სამეურნეო უძრავი ქონების სახელმწიფო სააგენტოდან* მიიღო მიწები, რომელიც სატრანსპორტო მაგისტრალის პოზნანი-უელონა გურას უშუალო სიახლოვეში მდებარეობდა და დაიწყო მისი ათვისების შესახებ ფიქრი. შესაძლებელი იყო მისი სასოფლო სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენება, თუმცა ქალაქის სამხრეთ საზღვართან არსებული მიწები განვითარების შესანიშნავ საშუალებას იძლეოდა.

დაიწყო სამუშაოები ამ მიწების სამეწარმეო ზონად ასათვისებლად. პროგრამა Grodzisk Food Park-ის მომზადების ინსპირაციას წარმოადგენდა ამავე სახის პროექტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ დანიაში. 1993 წელს შემუშავდა ქვეყნის მასშტაბით უნიკალური პროექტი - „პატარა ქალაქში სამრეწველო ზონის შექმნის პროექტი“ MORS-ის გმინიდან ჩამოსული დანიელი სპეციალისტების მონაწილეობით. პროექტი ითვალისწინებდა რამდენიმე ათეული ქარხნის დაარსებას, ძირითადად სასურსათო სფეროში, რომელიც გამოიყენებდა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის რესურსებს. ტერიტორია დაიყო 1 ჰა ერთეულებად, რომლებზეც უნდა განთავსებულიყო მსგავსი საწარმოები. მათ მომსახურებაზე პასუხისმგებელი იყო ამ მიზნით შექმნილი ლოგისტიკური ცენტრი.

პროექტის რეკლამირებამ ბევრი შედეგი გამოიღო, მათ შორის უმაღლესი ჯილდო გამოფენა Inwestcity '95-ზე და სტაჟი აშშ-ში, რომლის დროსაც მიმდინარეობდა აზრთა გაცვლა და პოტენციური პარტნიორების ძიება. სამწუხაროდ, ეს იმ დროისთვის ძალიან ინოვაციური პროექტი ჩავარდა სახსრების არქონის გამო. იმ დროს პოლონეთი ევროკავშირის წევრი რომ ყოფილიყო, მაშინ ეს იდეა აუცილებლად განხორციელდებოდა. პროექტის ყველაზე სუსტი ნაწილი სწორედ მისი დაფინანსება იყო. ამიტომაც გადაწყდა თვითმმართველობის მიერ ფონდების ჩამოყალიბება, რომელთა მიზანიც იქნებოდა პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო სახსრების მოზიდვა. ამისათვის არც თვითმმართველობა და

არც ინვესტორები არ იყვნენ მაშინ მზად, ვინაიდან განსხვავებული იყო რეალიები და სამართლებრივი ჩარჩოები.

გროჯინსკის თვითმმართველობა II და III – ჯერ იდგა პროექტის დამტკიცების აუცილებლობის და მისი მაშინ არსებულ პირობებთან მორგებაზე. მიიღეს მიწის გაყიდვის ვარიანტი ინვესტორზე გამოცხადებული მოთხოვნილებების შესაბამისად. თავდაპირველად იდეამ შედეგი გამოიღო ისეთი ქარხნების შექმნით როგორც იყო AMPOL და SZOK. მათ ათვისეს უშუალოდ მაგისტრალის მეზობელი ადგილები. აღმოჩნდა, რომ მიწის დანარჩენი ნაწილები ნაკლებ მიმზიდველი იყო, ვინაიდან არ ჰქონდათ უშუალო სამანქანო მისასვლელი. ამის გამო, პოტენციური ინვესტორები ფულს აბანდებდნენ სხვა გმინის ტერიტორიაზე.

გარდატეხა მოხდა 2003 წელს, როდესაც გამოჩნდა მორიგი ინვესტორი, რომელიც დაინტერესებული იყო ლუმელების წარმოების ქარხნის დაარსებით. ამჯერად „გროჯინსკის“ თვითმმართველობამ მიიღო ძალიან გაბედული და როგორც შემდგომში აღმოჩნდა მართებული გადაწყვეტილება – გზის აშენება და ტერიტორიის მოწყობა.

თავის მიზნებში გმინამ იპოვა მოკავშირეებიც, რომელთა დახმარების გარეშეც რთული იქნებოდა ინვესტიციის განხორციელება 1,5 მილიონი პოლონური ზლოტის ოდენობით. ამ სახსრებით აშენდა:

- წყლის გაყვანილობის სისტემა 1050 მ
- კანალიზაციის სისტემა 915 მ
- საწვიმარი გაყვანილობის სისტემა 932 მ
- ქუჩების მოპირკეთება 819 მ
- ქუჩების განათება

ზემოთ ხსნებული 1,5 მილიონი პოლონური ზლოტი მოგროვდა კერძო ან სასარგებლო პირობებით მოზიდული სახსრების და გარემოს დაცვის სავოევოდო და ეროვნული ფონდებისგან ნაწილობრივ შემსუბუქებული სესხების სახით. ვიელკოპოლსკის გაზის სააგენტომ საკუთარი ინვესტიციის ფარგლებში გააშენა გაზგაყვანილობის სისტემა. ზონის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დღესდღეისობით შესაძლებელია გაზის მიწოდება 1000 მ³/ჰ-ის მოცულობით. ტელეკომუნიკაცია, რომელიც თანამედროვე სატელეფონო ხაზებით არის აღჭურვილი იძლევა კომუნიკაციის ყველა საშუალებებით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობას. როგორც ვხედავთ, ეს ნაბიჯი აღმოჩნდა ძალზე მართებული.

დღეს ტერიტორია არის გადანაწილებული, ფუნქციონირებს რამდენიმე ქარხანა. ქალაქი ფიქრობს მოსახლურე მიწების შექმნასა და ამ ზონასთან მიერთებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გმინა თავის მხრივ სთავაზობს მნიშვნელოვან დახმარებას ფორმალურ-სამართლებრივი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ყოველი ინვესტორი იღებს მერიის მხრიდან თავის „მზრუნველს“, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტიციის განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის სწრაფ და შედეგიან მოპოვებაზე. ეს უკანასკნელი პოტენციური ინვესტორისთვის აღმოჩნდა უფრო ძვირფასი, ვიდრე, მაგალითად, საგადასახადო სისტემაში ცვლილებების შეტანა.

ჩვენმა მოქმედებებმა ტერიტორიების მომზადებაში, ინვესტორების მოზიდვასა და მათი მომსახურებაში შედეგი გამოიღო უამრავი სერთიფიკატების სახით, მათ შორის - Wielkopolska Jakość i Gmina Fair Play, Grunt na Medal და სხვა.

„გროჯისკის“ მერიის წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტის დროს შეიტყვეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განკარგავენ გარკვეულ მიწებს. ფიქრობენ რა, რომ ჩვენი გამოცდილება თქვენთვის სასარგებლო იქნება, მზად არიან გაგიზიარონ თავიანთი იდეები და დახმარება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

იან კოზა, „გროჯისკის“ მერიის და გმინის მდივანი
სტარი რინკის ქ. 1, 62-065 „გროჯისკ ვიელკოპოლსკი“,
jk@grodzisk.wlkp.pl, www.grodzisk.wlkp.pl

სასარგებლო გამოცდილება – „გოსტინის“ მერია

გარე რესურსების გამოყენება მერიაში – ეფექტური და სწრაფი ადმინისტრაცია

საჯარო ადმინისტრაცია ვერ იარსებებს თავისუფალი ბაზრის პრინციპებისგან თავისუფლად. მერიამ უნდა შეასრულოს კლიენტთა მოლოდინი და გახდეს ეფექტური, შედეგიანი და მეგობრული არა მხოლოდ უშუალო მომსახურების დროს, არამედ გადასახადების გადამხდელის ჯიბის მიმართაც. სწორედ ამ პრინციპებმა ჩაუყარა საფუძველი ახალ საორგანიზაციო პროექტებს.

„გოსტინის“ მერია ამჟამად ასაქმებს 76 პიროვნებას 74 შტატში.

გადაწყვეტილების განხორციელება მოიცავს გარე რესურსების გამოყენების სრული პროგრამის დანერგვას სხვადასხვა დონეზე.

ქსეროასლების მანქანის იჯარა

თვითმმართველობის ორგანოში საჭირო დოკუმენტების რაოდენობა მოწმობს, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის აღჭურვა ქსეროასლების გადაღების აპარატით. მოწყობილობა, რომელიც დააკმაყოფილებდა „გოსტინის“ ქალაქის მერიას ღირდა დაახლოებით 40 ათასი პოლონური ზლოტი. იმის ნაცვლად, რომ თანხა ერთჯერადად დახარჯულიყო, მერიამ გადაწყვიტა ქსეროქსის აპარატის იჯარით შესყიდვა, თვიური გადასახადების გადახდით და შესრულებული სამუშაოს ხარჯების გასტუმრებით. ფინანსურად თვიური გადასახადი ფაქტიურად უტოლდება მოწყობილობის ერთჯერადად ყიდვის ხარჯებს.

აპარატის იჯარის დადებითი მხარეებია:

- დამატებითი, გაუთვალისწინებელი ხარჯების არქონა, მაგალითად ავარიების შემთხვევაში;
- ბიუჯეტის პროექტში ხარჯების ზუსტი დაგეგმვის შესაძლებლობა;
- შეკეთების დროს სათადარიგო მოწყობილობის არსებობა;
- მოწყობილობის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობა იჯარის ვადის გასვლის შემდეგ

- ტონერის უტილიზაციის საკითხის, ან თავად მოწყობილობის მისი საკუთრებაში არ მიღების შემთხვევაში

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წელს მეორე ქსეროასლების გადაღების აპარატის შესყიდვის დროს კიდევ უფრო უკეთესი პირობები შემოგვთავაზეს, კერძოდ უფასო იჯარაზე, ანუ მხოლოდ გადაღებული ასლების თანხების გაღებით. ეს შემთავაზება გაცილებით უფრო იაფი გამოდგა, ვიდრე ერთი წლის წინ.

მერიის დაღაგების მომსახურება:

ამ დრომდე მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურებში არსებობდა დამლაგებლთა 2,5 შტატი. 2005 წლის ივლისიდან სისუფთავის შენარჩუნებას უზრუნველყოფს გარე ფირმა. მიზანი არის სისუფთავის მიღწევა, კაბრების ადმინისტრირების მოვალეობის გარეშე. სისუფთავის შენარჩუნების ხარჯები შემცირდა დაახლოებით 10%-ით (71-დან 64 ათას ზლოტამდე წლის მანძილზე). სავარაუდოა, რომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ეს თანხა კიდევ უფრო დაეცემა, ვინაიდან პირველი შესყიდვა ითვალისწინებდა სოციალური შეღავათების პაკეტს მაშინდელი თანამშრომლებისათვის. თვალშისაცემია ასევე დაზოგვა ადამიანური რესურსების მართვის სფეროშიც, ვინაიდან თანამშრომელს, რომელსაც ადრე ეს საკითხი ევალა, ახლა დაევალა დამატებითი მოვალეობები.

დადებითი მხარეები:

- გარე ფირმა უზრუნველყოფს მერიაში სისუფთავის ყველა ნორმის დაცვას;
- საპონზე, ფხვნილებზე, საცლებზე და სხვა საშუალებებზე ცალ-ცალკე ანგარიშფაქტურების გამოწერის ნაცვლად გამოიწერება მხოლოდ ერთი ქვითარი;
- მარტივდება მომსახურების სათანადო შესრულების პროცესი;
- ვყიდულობთ მომსახურებას, მაგრამ არ გახდენთ პერსონალის ადმინისტრირებას (მერიის პასუხისმგებლობაში აღარ შედის შევბუღებების, და ა.შ. საკითხი);
- დაახლოებით ფინანსური სარგებელი – 7 ათასი ზლოტი წლის განმავლობაში.

სატრანსპორტო მომსახურება:

2005 წლის ივლისიდან ქალაქის მერიას აღარ ჰყავს საკუთარი ავტომობილები. მანქანებით უზრუნველყოფა ხდება გარე მომსახურების შესყიდვით. მერიისთვის მომსახურებას ასრულებს ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანია. ასე რომ, მერიის სატრანსპორტო საშუალებად იქცა ... ტაქსი. ამჯერად მომსახურება ღირს 1 ზლოტი ერთ კილომეტრზე, მაშინ როდესაც სამსახურეობრივი მანქანის შენახვის ხარჯები ადრე 2 ზლოტსა და 60 გროშს აღწევდა თითოეულ კილომეტრზე.

დადებითი მხარეები:

- მანქანის მუდმივ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების არქონა;
- მიმდინარე ხარჯები არის გამჭვირვალე და გამომდინარეობს გავლილი კილომეტრების უშუალო რაოდენობიდან;
- საჭიროების შემთხვევაში სათადარიგო მანქანის ან დამატებითი პერსონალის უზრუნველყოფა;
- გარე მომსახურების რაციონალური შესყიდვა;
- ხშირად წამოყენებული ბრალდებების არარსებობა სამსახურეობრივი მანქანის არამიზანმიმართულად გამოყენების შესახებ;
- ფინანსური სარგებელი – 63 ათასი ზლოტის დანახოვი წლის მანძილზე.

ინტერნეტით მომსახურება:

საუბარია სერვერის იჯარაზე, საკუთარი მოწყობილობის ყიდვის ნაცვლად. ეს გვაძლევს ეფექტური მოქმედების გარანტიას, ვინაიდან მომსახურებას გვთავაზობს სპეციალიზირებული ფირმა და მუდმივად ქმნის სათადარიგო ასლებს. ავარია ფირმის პრობლემაა, და არა ჩვენი. სერვერები, რომლებზეც მერიის თანამშრომელთა საფოსტო ანგარიშები და ინტერნეტ გვერდი www.gostyn.pl არის განთავსებული არის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, რაც გვაძლევს ეფექტურობის და უსაფრთხოების გარანტიას.

დადებითი მხარეები:

- საკუთარი და ძვირიანი მოწყობილობების შეძენის აუცილებლობის არქონა;

- ავარიის შემთხვევაში მეისიერი რეაქცია;
- მერიის თანამშრომლების მუდმივი ჩარევის აუცილებლობის არარსებობა;
- ფინანსების დაზოგვა დაახლოებით 7 ათასი ზლოტის ოდენობით;

BHP მომსახურება:

მერიას არ აჰყავს სამსახურში BHP-ზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, არამედ ყიდულობს კომპლექსურ მომსახურებას BHP-ს სფეროში;

დადებითი მხარეები:

- დამატებითი თანამშრომლის დასაქმების აუცილებლობის არარსებობა;
- აუცილებელი რეგისტრაციების, დოკუმენტაციის და შიდა დადგენილებათა პროექტების მომზადების უზრუნველყოფა პროფესიონალური ფირმის მიერ;
- მომსახურების შესრულების დავალება ფირმისთვის და არა კონკრეტული ადამიანისათვის.

სამართლებრივი მომსახურებები:

მერიამ დადო ხელშეკრულება – კანცელარიის დავალება, რომლის წყალობითაც გარანტირებული აქვს სამართლებრივი მომსახურება შემსრულებელი პირისგან დამოუკიდებლად.

დადებითი მხარეები:

- ავადმყოფობებთან და შვებულებებთან დაკავშირებული პრობლემების არარსებობა;
- კანცელარიის ფარგლებში სპეციალისტებს შორის სამართლებრივი საკითხების გადაჭრაში კონსულტაციების შესაძლებლობა.

დაზღვევის მომსახურება:

მერიის სახელით დაზღვევის საკითხებს არეგულირებს ბროკერული ფირმა. ექსპერტები იძლევიან დაზღვევის ბაზარზე პროფესიონალურ მენეჯმენტს. პროექტის ფარგლებში, დაზღვეულ იქნა არა მხოლოდ მერიის ქონება, არამედ 23 ორგანიზაციული ერთეული. ამან კომპლექსურ

დაზღვევაზე ბევრი ერთგვაროვანი პროგრამის განხორციელების საშუალება მოგვცა.

დადებითი მხარეები:

- გმინის ქონების უკეთესი დაცვა;
- დაზღვეული ქონების საფასურის ოთხჯერადი ზრდა დაზღვევაზე გაღებული თანხის შეცვლის გარეშე (გმინის დაზღვეული ქონების ღირებულება შეადგენდა 19 მილიონ ზლოტს, ახალი დადგენილებების შემოღების შემდეგ კი გაიზარდა 79 მილიონ ზლოტამდე);
- სადაზღვევო ხელშეკრულებების დადების პროცესის ნაკლები ბიუროკრატიზაცია;
- ზარალისა და ზიანის ანაზღაურების ნაყოფიერი ზედამხედველობა;
- დაზღვევის ახალი სფეროები.

დაზოგვისკენ მიმართული სხვა ქმედებები:

- ტელეფონის ოპერატორის შეცვლა, თანამშრომელთა კერძო საუბრების შეზღუდვა – მიღებული შედეგების მიხედვით დაიზოგა ხარჯების 35% (წლიური ხარჯები დაეცა 82 ათასიდან 54 ათასამდე)
- ბეჭდური პრესის შეკვეთიდან ელექტრონული პრესის შეკვეთაზე გადასვლა (ხარჯების 50%-ით შემცირება 11.800 ზლოტიდან 5.800 ზლოტამდე)
- კორესპონდენციის ადგილზე მიტანა (ჩაბარების აქტით დამოწმებული) შიკრიკების მეშვეობით, რომლებიც არიან სამხედრო სამსახურში მყოფი ახალწვეულები (მერია დაახლოებით 1000 ზლოტს ზოგავს ყოველთვიურად).

სხვა ორგანიზაციული საქმიანობა:

მერიის რეორგანიზაციის პროექტის ფარგლებში, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება დაევალა სპეციალიზირებულ დაწესებულებებს – *კულტურის ცენტრს* და *სპორტისა და გართობის ცენტრს*. ამავდროს დავალებათა მნიშვნელოვან ნაწილს საკონკურსო გრანტების მეშვეობით ახორციელებენ სხვადასხვა ასოციაციები.

გამომდინარე აქედან მერია აღარ არის მსგავსი ღონისძიებების უშუალო ორგანიზატორი, იგი მხოლოდ ადგენს ძირითად წესებს და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩარჩოებს. ამგვარი გადაწყვეტილებების ხარჯზე მოხერხდა ერთი შტატის შემცირება თვითმმართველობის ადმინისტრაციაში.

გატარებული ცვლილებების შედეგად მიღებულმა შედეგებმა, ორგანიზაციულმა ცვლილებებმა და მერიის მმართველობის ახალმა სისტემამ გამოიწვია მწვავე კრიტიკა საკრებულოს წევრების მხრიდან და ადგილობრივ საზოგადოებასა და მედიაში მერიის უარყოფითი იმიჯი. ეს იყო დაკავშირებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან, რომელშიც გამოტყდა რამდენიმე თანამშრომელი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მრავალი თვის ინტენსიური მუშაობის, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შენების შემდეგ მერიამ შემოიღო ახალი ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001: 2000 –ის ნორმების მიხედვით და წარმატებით დაასრულა აქცია „გამჭვირვალე პოლონეთი“. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებულმა საქმიანობამ შესამჩნევად გამოასწორა მერიის იმიჯი მოქალაქეთა თვალში და შეამცირა კრიტიკა მერიის მიმართ.

პროექტის იმპლემენტაციამ საშუალება მოგვცა მერიის სტრუქტურებიდან ჩამოგვეცილებინა ის საქმიანობა, რომლებიც იყო უშუალოდ ადმინისტრაციის ფუნქციაში არსებული. ამის წყალობით საქმიანობა გახდა უფრო შედეგიანი და გარე მომსახურების შესყიდვის პროცესი უფრო გამჭვირვალე და რაციონალური. ამ რესურსების გამოყენების შემოღება მოხდა ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების პარალელურად. სტრუქტურა საგრძნობლად გამარტივდა - 10 განყოფილების ნაცვლად წარმოიქმნა 7, ამავე დროს ხელმძღვანელების რიცხვი შემცირდა და გახდა 5 – მდივანი ამავე დროს ითავსებს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობას, ხოლო სახაზინო განყოფილების უფროსის ითავსებს ფინანსურისას.

მიღებული ორგანიზაციული ეფექტებია:

- მართვის ხარისხის ამაღლება;
- უფრო დიდი კომპეტენცია, მაგრამ ამავე დროს უფროსობის გაზრდილი პასუხისმგებლობა;
- გამგებელთან/მერთან კომუნიკაციის გამარტივება;
- გადაწყვეტილების სწრაფად მიღება;
- კომპეტენციითა გამჭვირვალე დაყოფა;

- კადრთა დინების უფრო დიდი შესაძლებლობები, სამუშაოს დაგეგმვა გარკვეულ განყოფილებებში.

ფინანსური ხარჯები არც ისე დიდი აღმოჩნდა, მითუმეტეს რომ მათი გადაება მხოლოდ ერთჯერადად მოხდა. მთლიანობაში შეადგინა 32 ათასი ზღოტი. სამაგიეროდ ახალი გადაწყვეტილებების მიღების პირობებში დაიზოგა დიდი რაოდენობის თანხები, კერძოდ დაახლოებით 130 ათასი წლის განმავლობაში. ეს სახსრები თავის მხრივ გამოყენებულ იქნა საფუძვლიანი რეფორმების ჩატარებისა და თანამედროვე კლიენტის მომსახურების ცენტრის შესაქმნელად. მაცხოვრებლები ადვილად და სწრაფად აგვარებენ საქმეებს. ამავე დროს თვითონ თანამშრომლების სამუშაოც საგრძნობლად შემსუბუქდა (7-8%), ვინაიდან მათ აღარ მიმართავენ რუტინული შეკითხვებით, როგორც აქამდე ხშირად ხდებოდა.

სწორედ დაზოგვის წყალობით გახდა შესაძლებელი ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2000-ის შემოღება. გატარდა უამრავი გაუმჯობესება კლიენტის მომსახურების სფეროში – შიდა მონიშვნების სისტემა, ორშაბათობით მერიის მუშაობის საათების ორი საათით გაზრდა, ინფორმაციის მიწოდება წასაღებად გამზადებული პირადობის მოწმობის ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების თუ ტელეფონის მეშვეობით და ამავე დროს ბავშვებისთვის სათამაშო კუთხის მოწყობა. უახლოეს მომვალში დაგეგმილია შემდგომი ინვესტიციები, კერძოდ მერიის მომსახურების ელექტრონიზაციის სფეროში.

საორგანიზაციო ხარჯები რამდენიმე ადამიანის დაქირავებისათვის, რომლებიც რეორგანიზებული მერიის საერთო იმიჯის შექმნაზე მუშაობს აღმოჩნდა გაცილებით უმნიშვნელო, მიღებული სარგებელთან შედარებით.

შეჯამება

პროექტი ფინანსურად დიდ დაზოგვების გაკეთების საშუალებას იძლევა, რომლებიც ორი წლის შემდეგ მარტო ჰიპოთეტურ განცხადებებად კი არ რჩება, არამედ ხორციელდება პრაქტიკაში. ისეთი საქმიანობის ორგანიზება, რომელიც პროცესულ გაგებაზე იყო აგებული, საერთო ჯამში სასარგებლო გამოდგა ადმინისტრაციის საქმიანობისათვის. კლიენტის მომსახურების გაუმჯობესების პარალელურად, გაუმჯობესდა მერიის იმიჯიც.

სათამაშო კუთხე ბავშვებისთვის

2005 წელს მიღებულ იქნა გარკვეული აღქმა ჩვენი დაწესებულების კლიენტების სპეციფიკაციასთან დაკავშირებით. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მერიას ხშირად სტუმრობდნენ ახალგაზრდა მშობლები. ხშირად, როცა არ ჰყავთ ბავშვის დამტოვებელი, მერიაში საქმის მოსაგვარებლად ბავშვთან ერთად მოდიან. ბავშვები ხშირად არიან უკმაყოფილო, იმიტომ, რომ მათთვის მერიის დერეფნები არ არის გასართობად მიმზიდველი ადგილები. მრავალჯერადი დაკვირვების შედეგად ასევე შევნიშნეთ, რომ ბავშვების უკმაყოფილება იწვევს რიგში მდგომ მშობელთა გაღიზიანებას. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდით, რომ თუკი ბავშვს ჩვენ მივხედავდით, მაშინ მშობლები იქნებოდნენ უფრო მშვიდად და სიამოვნებით მოვიდოდნენ ჩვენს მერიაში, ეცოდინებოდათ რა რომ შეუძლიათ ბავშვიც თან წამოიყვანონ უპრობლემოდ. მშობელი აღარ გადადებს თავისი საქმის მოგვარებისთვის მერიში ვიზიტს იმ მიზეზით, რომ ბავშვი მას ხელს შეუშლის.

იდეა იყო მარტივი – უნდა შექმნილიყო ადგილი, რომელიც შეესაბამებოდა ბავშვების, ისევე როგორც მშობლების ინტერესებს. ეს უნდა ყოფილიყო ისეთი მიმზიდველი ადგილი, რომელსაც შეეძლებოდა ბავშვის მიზიდვა დიდი ხნით. „გოსტინის“ ქალაქის მერია ორ შენობაშია განთავსებული. გადაწყდა ბავშვების საცდელი სათამაშო კუთხის მოწყობა რატუშის შენობაში.

სათამაშო ადგილისთვის შეირჩა სამოქალაქო მდგომარეობის სამსახურის დერეფანი. მოხდა გარემოს მოპირკეთება და ფერადი საბავშვო ავეჯის შესყიდვა. კედლებზე დაიკიდა სურათები. მერიის თანამშრომლები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მერიის თხოვნას მოეტანათ ამ კუთხისთვის სხვადასხვა წიგნები, სათამაშოები, რომლებიც აღარ სჭირდებოდათ. შემდგომში ეს ნივთები განთავსდა სათამაშო კუთხის ფერად თაროებზე.

„გოსტინის“ კულტურის სახლის მხარტვრებს დაევალოთ სპეციალური გასაფერადებლების დამზადება ბავშვებისთვის. ამ ბროშურაში შედის რეგიონალურ თემატიკაზე შექმნილი სხვადასხვა ნახატები, რომლებიც ბავშვებმა უნდა გააფერადონ. ამავე დროს მასში შეტანილია რებუსები, თავსატეხები და „გოსტინის“ ისტორიული ძეგლების ამსახველი ესკიზები.

სათამაშო კუთხე გაიხსნა 2005 წლის 1 ივნისს – ბავშვთა საერთაშორისო დღეს. კუთხეს ესტუმრნენ გმინის

ყველაზე პატარა მცხოვრებლები, რომლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ ახალი სათამაშო ადგილით.

შემდგომი თვეების განმავლობაში შევნიშნეთ, რომ კუთხემ თავისი იმედები გაამართლა, ბავშვები დიდი სიამოვნებით რჩებოდნენ და თამაშობდნენ, ისე რომ არც აქცევდნენ ყურადღებას, რომ დედა ცოტა ხნით მათ გვერდით არ იყო. მშობლებიც დიდად კმაყოფილები იყვნენ. მშვიდად, ღიმილით უყურებდნენ თავიანთი ბავშვების თამაშს, შეეძლოთ მშვიდად გადაეხედათ კიდევ ერთხელ თავისი საბუთები და ასევე მშვიდად მოეგვარებინათ თავისი საქმე.

2007 წელი წარმოადგენდა გამონაკლისს. პირადობის მოწოდების გამოცვლის მოთხოვნით მოქალაქეთა მისაღების განყოფილების წინ ეროცლავსკის ქუჩაზე იკრიბებოდა ხალხის უაღრესად დიდი ჯგუფი. ამასთან, მოდიოდნენ უფრო და უფრო მეტი ბავშვები. გრძობოდა ბავშვებისათვის სათამაშო კუთხის სიმცირე. 2007 წლის 1 ივლისს მოხდა უკვე ბავშვების კუთხის გახსნა სხვა ადგილას. თავიდანვე დიდი მოწონებით შეხვდნენ ბავშვები მის გახსნას. არის უფრო პატარა ვიდრე რატუსში, მაგრამ უფრო ტევადი, იმ კლიენტების რიცხვთან შესაბამისად, რომლებიც მოდიან თავიანთი პირადობების გამოცვლის მიზნით.

შეჯამება:

ბავშვთა სათამაშო კუთხის შექმნა არ საჭიროებს დიდ ფინანსურ დანახარჯებს. მის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს მერიის თანამშრომლებმა, რომლებმაც მოიტანეს სათამაშოები, წიგნები და ამავე დროს პირადადაც ჩარერთვნენ კუთხის საქმიანობაში. ერთხელ წელიწადში ივსება სათამაშოების რიცხვი, ხოლო ფერადი ფანქრები იცვლება საჭიროებისამებრ. შედეგები არის ნამდვილად შესამჩნევი – კლიენტები არიან კარგ ხასიათზე, ატმოსფერო დერეფნებში კი გახდა ფერადი, მეგობრული და სიცოცხლით სავსე.

საკონტაქტო ინფორმაცია:

რობერტ მარჩინკოვსკი, გმინის მდივანი, „გოსტინის“ ქალაქის მერია

რინეკ 2, ტელ. (+48 65) 5752147; ფაქსი: (+48 65) 5752142,

ელ-ფოსტა: rmarcinkowski@um.gostyn.pl

კარგი მაგალითები – ქ. პუშჩიკოვოს მერია
საზოგადოებასთან ურთიერთობის კარგი ფორმა, როგორც
ქალაქის მერიის გამჭვირვალობის მთავარი საფუძველი ქ.
პუშჩიკოვოს მაგალითზე

პოლონეთში თვითმართველობის ერთეულების მოღვაწეობის პრინციპები მათი მოქმედებების გამჭვირვალობის მხრივ განსაზღვრულია სახელმწიფო კონსტიტუციით – საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გმინის თვითმმართველობის შესახებ კანონებში. მათში ზუსტად განსაზღვრულია, რომელი ინფორმაციაა საჯარო და სად უნდა გამოქვეყნდეს იგი, მაგრამ არ არის დაზუსტებული ინფორმაციის გაცემის კონკრეტული გზები. ინფორმაციის გაცემის არაშესაბამისმა ფორმამ შეიძლება საჯარო უწყების ფუნქციონირება შეაფერხოს. ამის გარდა, ცუდად გაგებულ ინფორმაცია ქმნის ქაოსს, აფუჭებს საჯარო უწყების იმიჯს და ქმნის არასწორი ურთიერთობის მოდელს საჯარო მოხელესა და მოსახლეობის შორის.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება ინფორმაციის ხარისხზე. ინფორმაცია აქტუალური, სრული, დამაჯერებელი და დროული უნდა იყოს, არ უნდა მოიცავდეს ზედმეტ კომენტარს და შენიშვნას.

პოლონურ საჯარო უწყებაში ინფორმაციის გაცემის საყოველთაო მეთოდები გახლავთ:

- ერთი ან რამდენიმე საინფორმაციო დაფა, რომელიც განთავსებულია ქალაქის ან გმინის ტერიტორიაზე ან/და საჯარო უწყების (სოფლის ან უბნის გამგეობის, ქალაქის მერიის) შენობის ტერიტორიაზე.
- თვითმართველობის ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც ქვეყნდება თვითმართველობის ერთეულის მუშაობის შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის ბიულეტენის ჩათვლით.
- მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრები.
- ქალაქის მერიის მიერ გამოცემული ქალაქის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი.
- რადიო, ტელევიზია და ადგილობრივი პრესა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქალაქ პუშჩიკოვოში გამომუშავებული ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე კარგი მაგალითი.

საინფორმაციო დაფები

ქ. პუშჩიკოვოში, რომლის ტერიტორია 16,7 კვადრატურ კილომეტრს შეადგენს და 9 ათასი მაცხოვრებელი ჰყავს, განთავსებულია 10 საინფორმაციო დაფა; 4 მათგანი განათებული და დასაკეტი ყუთები. დასაკეტი ყუთებზე განთავსებულია მხოლოდ ქალაქის მერიის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია, დანარჩენ დაფებზე ქვეყნდება ყველა ის საინფორმაციო ფურცელი, რომელიც ქალაქის ცხოვრებას ეხება, მათ შორის მოსახლეობის მიერ განთავსებული განცხადებები.

სასურველია, რომ ინფორმაცია ნათლად და გასაგებად იყოს წარმოდგენილი, ამითომ განცხადებებში ტექსტის მოცულობა მინიმალურია. ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია მარტივი და მოკლე წინადადებით, დამხმარე გრაფიკით და კონტრასტულ ფონზე, უფრო კარგად იკითხება.

მნიშვნელოვანია, რომ ერთი სახის ინფორმაცია ერთ და იგივე ადგილას ქვეყნდებოდეს. აგრეთვე მნიშვნელოვანია დაფის გრაფიკული განლაგების დაცვა. დაფებზე განთავსებული ინფორმაცია განსხვავებული ტიპის შეიძლება იყოს – როგორც ქალაქის მერიის მუშაობის საათები, ასევე უწყებაში არსებული ვაკანსიების, გამგეობის სხდომების თარიღებისა და კულტურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფის ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი მხარე არის მოსახლეობისთვის ინფორმაციის უწყვეტლად, მარტივად და სწრაფად მიწოდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, ვისაც ინტერნეტ კავშირი არ აქვთ.

ვებ- გვერდი

ნათელი და ადვილად გამოსაყენებელი ვებ-გვერდი წესით ქალაქის ან რაიონის საეიზიტო ბარათი და მოსახლეობასთან კომუნიკაციის მთავარი საშუალება უნდა იყოს. მედიის ამ საშუალებით სარგებლობის შედეგიანობაზე არავინ აღარ დაობს. ქ. პუშჩიკოვოს ვებ გვერდის ერთ-ერთი ელემენტია ფურცელი სათაურით „ქალაქის მერი მოსახლეობის შეკითხვებზე პასუხობს“. ქალაქის ნებისმიერ მაცხოვრებელს ამ ვირტუალურ გვერდზე შეუძლია ქალაქის მერს პირდაპირ

დაუსვას შეკითხვა და მოკლე ხანში მისგან პასუხი მიიღოს. პასუხის მიღებისთვის რამდენიმე პირობა არსებობს: ადამიანმა თავისი სახელით და გვართ ხელს აწერს შეკითხვას, შეკითხვა გასაგებად და კულტურულ ფორმაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ვებ-გვერდზე ქვეყნდება ყველა შეკითხვა და პასუხი. ზოგადად ამ მეთოდს აქვს რამდენიმე დადებითი მხარე:

- შესაძლებლობას აძლევს მოხელეებს, დასმულ შეკითხვაზე სრული პასუხი გასცენ. ხშირად ამისათვის საჭიროა რამდენიმე განყოფილებიდან ინფორმაციის მოპოვება, თანამშრომლებს შორის კონსულტაცია და საერთო პოზიციის გამომუშავება. ეს მეთოდი ერთ და იგივე შეკითხვაზე სხვადასხვა განყოფილებების მიერ განსხვავებული პასუხის გაცემას გამორიცხავს.
- მთელი უწყების მუშაობის ორგანიზებას უწყობს ხელს, რადგან ყველა მოხელეს ეძლევა გარკვეული დრო იმისთვის, რომ სამსახურებრივი მოვალეობები შეასრულონ და აგრეთვე მოსახლეობის შეკითხვებზე პასუხი გასცენ.
- უწყების მიმართ ნდობის ხარისხს ზრდის, რადგან გაცემული ინფორმაცია არის სრულყოფილი, ნათელი და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

მოსახლეობასთან შეხვედრები

მოსახლეობასთან შეხვედრები დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალაქ პუშჩიკოვში. ქალაქის სხვადასხვა უბნიდან მრავალი ადამიანი მოდის ბურმისტრთან შეხვედრებზე იმისათვის, რომ გამოთქვას თავისი მოსაზრებები და საყვედურები. შეხვედრები იმართება ციკლ „გაქვს ხმა – გაქვს არჩევანი“-ს ფარგლებში, რომლის ორგანიზატორი ქალაქ პუშჩიკოვს მეგობართა საზოგადოებაა, ან ბურმისტრის ინიციატივით. ბურმისტრის მიერ გამართულ შეხვედრებზე ხდება მოსახლეობასთან კონსულტაციები იმ ინვესტიციებისა და წამოწყებების თაობაზე, რომლებსაც მერია გეგმავს, მაგალითად, გზების ან კანალიზაციის პროექტირება ან გარე განათების დამონტაჟება.

დიალოგი მონოლოგად რომ არ იქცეს, ინიშნება მოდერატორი, ანუ პიროვნება, რომელიც შეხვედრის პროცესში დებატების კულტურას და მის ხანგრძლივობას აკონტროლებს.

შეხვედრების სხვა ფორმას წარმოადგენს საჯარო დებატები, სადაც ქალაქის ყველა მაცხოვრებელს აქვს საშუალება ქალაქისთვის მთავარ თემებზე თავისი მოსაზრება

გამოხატოს. დებატებში მონაწილეობას იღებენ ბურმისტრი და განყოფილებების დირექტორები, სასურველია მოდერატორების ჩართულობაც. ასეთი შეხვედრა ორი ნაწილისგან შედგება – პირველ ნაწილში წარმოდგენილია კერძოთ ის საკითხი, რომელსაც ეხება დებატი, მაგალითად ქალაქის ბიუჯეტის შექმნა და მისგან გამომდინარე ინვესტიციები; მეორე ნაწილი პრაქტიკულ ხასიათს ატარებს – მაცხოვრებლები იყოფებიან ჯგუფებად, რომელთა მუშაობის შედეგად ნათელი ხდება, როგორც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები. ეს იდეები პატარა ფურცლებზე იწერება და კონკრეტულ პრობლემებს უკავშირდება. ამის შემდეგ იმართება შესაძლო გამოსავლებზე საერთო მსჯელობების გამოთქმა. ასეთი შეხვედრა შედეგანია იმ შემთხვევაში, თუ ყურადღება ექცევა პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ გზებს და არა პრობლემების ისტორიას.

დებატების ფორმას აქვს შემდეგი დადებითი მხარეები:

- მოსახლეობას, მოხელეებსა და ბურმისტრის შორის უშუალო საუბრის შესაძლებლობა;
- მოხელეების და მაცხოვრებელთა დაახლოება, ერთობლივი მუშაობა, პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;
- მოსახლებას უჩნდება შეგრძნება, რომ ისინი ჩართულები არიან ქალაქში მინდინარე პროცესებში და რომ ქალაქის ხელმძღვანელობა მათ აზრს ითვალისწინებს.

ქალაქის ინფორმატორი

ქ. პუშნიკოვოს მერია აქვეყნებს გაზეთს სათაურით „პუშნიკოვოს ექო“. მისი ტირაჟი 3 ათას ეგზემპლარს შეადგენს, იგი უფასოა და თვეში ერთხელ გამოდის. ამ გაზეთში ქვეყნდება საინფორმაციო მასალა, უკვე მომხდარი ღონისძიებებიდან რეპორტაჟები და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების ანონსები. ინფორმაციის ნათელი და გასაგები გადმოცემა არის გაზეთის პირველი ამოცანა. ინფორმაცია ქვეყნდება კომენტარის გარეშე, რადგან გაზეთის ფუნქცია მხოლოდ გადმოცემითია. ამ გაზეთში არ ქვეყნდება კერძო კომპანიების რეკლამა. ეს აძლევს გაზეთის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის გარანტიას და აგრეთვე ხელს უწყობს ქალაქის მერიის, როგორც კერძო ინტერესებისგან დამოუკიდებელი უწყების, იმიჯის დამყარებას. გაზეთი

ფინანსდება მთლიანად ქალაქის მერიის მიერ და მის ბეჭდვას ახორციელებს კერძო კომპანია, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. რედაქციის კოლექტივი მერიის თანამშრომლებისგან შედგება.

წინამდებარე ნაშრომი შეიქმნა ქართული თვითმართველობის ერთეულებში ჩვენი ვიზიტის დროს მიღებული მოსაზრებების საფუძველზე. აქ წარმოდგენილია პოლონეთში უკვე გამოცდილი იდეები, რომელთა გამოყენება შეიძლება ქართულ რეალობაშიც. ჩვენ გვჯერა, რომ ეს გახდება პოლონური და ქართული თვითმართველობების თანამშრომლობის საფუძველი, და ამ თანამშრომლობის შედეგებს მრავალ სფეროში დავინახავთ –სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში.

საკონტაქტო პირი:

ანა გონეტი, ბურმისტრის მოადგილე, ქ. პუშჩიკოვოს მერია, პოდლესნას ქუჩა . 4, ქ. პუშჩიკოვო, 62-040, ტელ. +48(061)8983-731, ფაქსი +48(061)8983-700, ელ. ფოსტა: viceburmistrz@puszczykowo.pl, www.puszczykowo.pl

ქ. პუშნიკოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა როგორც საჯარო სექტორისთვის გარკვეულ საკითხებში დამხმარე საქმიანობა და როგორც სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესის ხელშეწყობა

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელშეწყობა გამომდინარეობს „დამხმარების“ კონსტიტუციური პრინციპიდან, რომელიც აძლიერებს მოქალაქეების უფლებებს და მათ გაერთიანებებს და რომლის თანახმად ყველა ურთიერთობა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის მხოლოდ პარტნიორული პრინციპებით უნდა ხორციელდებოდეს. ქალაქ პუშნიკოვოს მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ქალაქის განვითარების გრძელვადიანი გეგმის ელემენტი.

იქიდან გამომდინარე, რომ „პუშნიკოვოს“ არსებობის აზრი მდგომარეობს მისი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებული ხალხის სამოქალაქო საქმიანობა ქალაქში არსებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრას ხელს უწყობს. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და მოსახლეობის ჩართულობა საჯარო ამოცანების შესრულებაში ამყარებს მოსახლეობაში პასუხისმგებლობის შეგრძნებას თემის და საერთო გარემოცვის მიმართ. ეს აგრეთვე ხელს უწყობს საზოგადოებრივი კავშირების დამყარებას და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას.

ქ. პუშნიკოვოში აქტიურად მოქმედებს 20 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგან ორი ეკუთვნის ე.წ. „საზოგადოებრივი სარგებლის“ ორგანიზაციათა რიცხვს.

ქალაქსა და არასამთავრობო ორგანიზაციების შორის თანამშრომლობაზე პასუხისმგებელია შემდეგი სუბიექტები: ქ. პუშნიკოვოს საკრებულო, ქ. პუშნიკოვოს ბურმისტრი (მერი), მერის რწმუნებული არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებში, მერიის შიდა აუდიტი და თავად არასამთავრობო ორგანიზაციები.

ქალაქის საკრებულოს კომპეტენციაში შედის: არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და ადგილობრივი პოლიტიკის მთავარი მიმართულებების დამტკიცება, თანამშრომლობის და ხელშეწყობის სფეროების დადგენა, იმ სფეროების დადგენა, რომლებიც ქალაქის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაციებს გადაეცემა, თანამშრომლობის წლიური გეგმის დამტკიცება, ბიუჯეტიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული თანხების გამოყენების მონიტორინგი და თანამშრომლობის მრავალწლიანი გეგმის შესრულების ანგარიშების მიღება.

ქალაქის ბურმისტრის კომპეტენციაში შედის:

- გმინის და არასამთავრობო ორგანიზაციების შორის თანამშრომლობის წლიური გეგმის შემუშავება;
- თანამშრომლობის მრავალწლიანი და წლიური პროგრამებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისთვის საჭირო თანხების გაცემა;
- საჯარო საქმიანობის დავალებების შესრულებაზე ღია კონკურსების გამოცხადება;
- ხელშეკრულებების გაფორმება იმ „საზოგადოებრივი სარგებლის“ დავალებების შესრულებაზე, რომელთა გადაცემა ხდება ქალაქის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ამისთვის გათვალისწინებული დოტაციის გაცემა ბიუჯეტიდან, დავალების შესრულების კონტროლი;
- კონკურსის მეშვეობით დადგენილი პირობის მიერ დავალებების შესრულების ანგარიშების შეფასება

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებში რწმუნებულის კომპეტენციაში შედის:

- „საზოგადოებრივი სარგებლის“ დავალებების შესრულების ღია კონსურსების შესახებ განცხადებების მომზადება და გამოქვეყნება.
- დავალებების მოცულობის შესახებ შეფასების შედგენა და ბურმისტრისთვის წარდგენა.
- აპლიკანტების ინფორმირება კონკურსის შედეგების შესახებ.
- კონკურსების შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.
- ბურმისტრისთვის დახმარების აღმოჩენა დავალებების შესრულებასა და ხელშეკრულებების შედგენაში.

შიდა აუდიტორი აკონტროლებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შესრულებული დავალებებისთვის გაცემული დოტაციების ანგარიშგების, პროცედურებისა და შესრულების კანონთან შესაბამისობას. ის აგრეთვე აცნობს ბურმისტრს შენიშნული კანონდარღვევების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციებს ევალებათ გამოიყენონ მათზე

გაცემული თანხები ხელშეკრულების შესაბამისად და მიიღონ მონაწილეობა თანამშრომლობის წლიური გეგმის შედგენაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრინციპები

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას ქალაქის მერია ეყრდნობა ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს: დახმარების აღმოჩენა, მხარეთა სუვერენიტეტი, პარტნიორობა, ეფექტურობა და გამჭვირვალობა. ამით, ქალაქის მერია აღიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელ სტატუსს და მათ უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ და გადაწყვიტონ არსებული პრობლემები. ეფექტურობის პრინციპის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებზე დავალებების გაცემისას, ქალაქის მერია ეძებს საჯარო სახსრების ყველაზე ეფექტური გამოყენების გზას. ქალაქის მერია აწვდის ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციებს იმ საჯარო დავალებების სფეროების, მიზნებისა და სახსრების შესახებ, რომელთა შესრულებას აპირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას შეიძლება ჰქონდეს როგორც ფინანსური, აგრეთვე არაფინანსური სახე. ფინანსურ ფორმებში შედის: მერიის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციაზე საჯარო დავალების მთლიანად გადაცემა ან არასამთავრობო ორგანიზაციისთვის დახმარების აღმოჩენა საჯარო დავალების შესრულებაში, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. დოტაციის კვოტა დამოკიდებულია არსებულ სახსრებზე, დავალების მოცულობასა და მონაწილეების რიცხვზე. ინფორმაცია გაცემული დოტაციის შესახებ არის საჯარო. ქალაქის მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის არაფინანსური ფორმები უკავშირდება ისეთ სფეროებს, როგორცაა ინფორმაცია და PR, განათლება, საორგანიზაციო და ტექნიკური სფეროები და ა.შ.

საჯარო სექტორის შეესება

ქალაქის მერიის საჯარო დავალებების შესრულებასთან დაკავშირებულ მდგრად პრიორიტეტებში შედის: ჯანმთელობის დაცვა და პროპაგანდა, შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ზრუნვა, ბავშვებისა და ახალაზრდების ტურიზმისა და დასვენების ხელშეწყობა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, კულტურისა და ტრადიციების დაცვა, კულტურული და რეკრეატიული ღონისძიებები, ეროვნული

ტრადიციების დაცვა და კულტურული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება, ევროპული ინტეგრაციისადმი მიმართული მოღვაწეობა, თემების შორის თანამშრომლობის განვითარება, ეკოლოგია და ბუნების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, საზოგადოებაში არსებული პათოლოგიების წინააღმდეგ ბრძოლა.

არასამთავრობო ორგანიზაციებზე საჯარო დავალებების გადაცემისას, შესრულების ხარისხი შენარჩუნებული რჩება, ამ დავალებების შესრულებაზე მერიის მიერ გაწეული ხარჯები კი მცირდება. ქალაქი პუშჩიკოვო განლაგებულია მდინარე ვარტას პირას ვიელკოპოლსკი ეროვნული პარკის მიდამოებში. აქედან გამომდინარე ქალაქში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა უმეტესობის საქმიანობა დაკავშირებულია რეკრეაციასა და თავისუფალი დროის აქტიურად გატარებასთან. ამის მაგალითია „პუშჩიკოვოს ტყის“ საფეხბურთო კლუბის მიერ მოწყობილი აქციები, რომლებიც ტარდება ბავშვების, მოზარდებსა და ხანში შესულ მაცხოვრებლების მონაწილეობით. საჯარო დავალების შესრულების ჩარჩოებში ტარდება კვირაში არანაკლებ 3 საათნახევრიანი წვრთნა ფეხბურთელების ოთხი ჯგუფისთვის. საფეხბურთო მატჩები და გათამაშებებში ბავშთა მონაწილეობა წარმოადგენს „პუშჩიკოვოს“ მოსახლეობაში ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ფიზიკური რეკრეაციის დანერგვას, განსაკუთრებით ბავშთა და ახალგაზრდობის შორის. გათამაშებების გატარების სხვა მიზანია პუშჩიკოვოს მოსახლეობის ინტეგრაცია.

ქ. პუშჩიკოვოს სპორტული საზოგადოების მოღვაწეობა მიმართულია მოსახლეობაში სპორტის და რეკრეაციის პოპულარიზაციაზე. საზოგადოება ორგანიზაციას უწევს ქალაქის მიერ თანადაფინანსებულ ჩოგბურთის ტურნირებს ბავშვებსა და ახალგაზრდობისთვის. ამ ტურნირებს წინ უძღვის საინფორმაციო აქციები. საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად გადაჭრილია ბავშვებისა და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების პრობლემა, რომელიც ქალაქის საზრუნავი იყო. ორგანიზაციები აგრეთვე ახორციელებენ პროექტებს, რომელთა მიზანია დაეხმარონ ქალაქს სოციალური ზრუნვის სფეროში დავალებების განხორციელებაში. ასეთი ღონისძიებების მაგალითია ხანში შესული ადამიანებისთვის ექსკურსიების ორგანიზება და მათთვის საშობაო საჩუქრების შეგროვება.

ორგანიზაციების ჩართულობა ქალაქის მოღვაწეობაში უზრუნველყოფს ქალაქის საზოგადოებრივი მოვალეობების

ეფექტურად განხორციელებას. ამავე დროს ის ამყარებს ადგილობრივ ინიციატივებს და საზოგადოებრივ სტრუქტურებს.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება

საჯარო ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციების შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ხელს უწყობს ადგილობრივი თემის დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბებას. ორგანიზაციის წვლილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში შემდეგი გზებით შეიძლება შეტანილ იქნას: სამოქალაქო საზოგადოების პროპაგანდა საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობით, საზოგადოებისთვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ავიტაცია, არასაბიუჯეტო სახსრების გამოყენებით უფრო დიდი ჯგუფებისთვის მომსახურების გაწევა.

საყურადღებოა ორგანიზაციების ისეთი მოღვაწეობა, რომელიც ამყარებს ხელისუფლების მხრიდან პასუხისმგებლობის შეგრძნებას საზოგადოების და მოქალაქეების მიმართ. ასეთი ტიპის აქციებს ეკუთვნის ქ. პუშნიკოვოს მეგობრებთა საზოგადოების ინიციატივით განხორციელებული პროგრამა „მაკონტროლებელი ორგანიზაციები – საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა საზოგადო ცხოვრებაში“. ამ აქციის ფარგლებში ორგანიზაციამ აიყვანა ჟურნალისტი, შექმნა ინტერაქტიური ვებ-გვერდი, მოახდინა მის მიერ გამოცემული გაზეთ „პუშნიკოვოს კურიერის“ ძველი ნომრების არქივიზაცია.

ქ. პუშნიკოვოს „მეგობრების საზოგადოების“ ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება ბაღების კონკურსი ადგილობრივი ინტეგრაციის, ქალაქის სახის და მისი საერთო სივრცის გაუმჯობესების მიზნით. კონკურსის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობა დაინტერესდეს ქალაქის ესთეტიკით და მას გაუჩნდეს ქალაქის სახის საკუთარი ხელით გაუმჯობესების სურვილი. კონკურსი ტარდება ზაფხულში, მისი შედეგები ქვეყნდება „პუშნიკოვოს კურიერის“ გვერდებზე და გამარჯვებულები ჯილდოვდებიან დიპლომებით და პრიზებით. კონკურსი აღმოჩნდა ძალიან ეფექტური გზა ქალაქის ესთეტიკისა და სახის გაუმჯობესებისადმი.

ქ. პუშნიკოვოს მერიაში კარგად ესმით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კარგი ფუნქციონირება ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის მისი ზოგი დავალების შესრულებაში დახმარებას ნიშნავს. ასეთი დავალებების სია,

რომელთა გადაცემა არასამთავრობო სექტორისთვის შეიძლება, მომავალში უფრო გაიზრდება.

საკონტაქტო პირი:

ქბი აგნეშკა ზელინსკა, სპეციალისტი ადმინისტრაციისა და საერთაშორისო კონტაქტების საკითხებში, ქალაქის გამგეობა, პოდლესნას ქ. 4, 62-040 პუშჩიკოვო, ტელ. +48(061)8983-737, ფაქსი +48(061)8983-700, ელ.ფოსტა: um@puszcykowo.pl,
www.puszcykowo.pl

კარგი მაგალითები – მუროვანა გოსლინას გმინის და ქალაქის გამგეობის

მუროვანა გოსლინას გმინის საინფორმაციო პოლიტიკა

მუროვანა გოსლინას გმინის საინფორმაციო პოლიტიკა არის ადგილობრივი თვითმართველობის გამართული მუშაობის საფუძველი. მის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობისთვის მიმდინარე გადაწყვეტილებებისა და გმინის ხელმძღვანელობის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის ნათელი და გასაგები მიწოდება. გმინის საინფორმაციო პოლიტიკა ეყრდნობა მყარ, სწორ და გასაგებ ინფორმაციას, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯაროა და მისი მიწოდება თანმიმდევრულად ხორციელდება.

მუროვანა გოსლინას გმინის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსახლეობასთან მდგრად და შედეგიან თანამშრომლობის საჭიროებას, რამაც დადებით გავლენას ახდენს გმინის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ეს პოლიტიკა ორიენტირებულია აზრის მოსმენაზე, ინფორმირებასა და დიალოგზე.

მუროვანა გოსლინას გმინა და ქალაქის გამგეობა ამ მიზნების მისაღწევად იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ საშუალებებს.

თვითმართველობის ბიულეტენი

ეს გახლავთ ყოველთვიური გაზეთი, რომელიც გამოიცემა მუროვანა გოსლინას გმინისა და ქალაქის გამგეობის მიერ. მისი ტირაჟი შეადგენს 5500 ეგზემპლარს, რომლებიც უფასოდ ურიგდება ყველა ოჯახს. მის ფუნქციას წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის გმინის, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის, სკოლების და საბავშვო ბაღების, სოფლის გამგეობების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი, მიმდინარე და შესრულებული წამოწყებების შესახებ. მისი ხელმისაწვდომლობის გამო, ბიულეტენი წარმოადგენს გმინის საინფორმაციო პოლიტიკის მთავარ იარაღს. მის გვერდებზე შუქდება ისეთი თემები, როგორცაა კომუნალური მეურნეობა, ინვესტიციები, კულტურული სიახლეები, ქალაქის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია (სესიების ჩატარება, მიღებული დადგენილებები, ქალაქის საკრებულოს სხდომების განრიგი), უსაფრთხოება,

სკოლებისა და საბავშვო ბაღების ცხოვება, ჩატარებული კონკურსების შედეგები, სოციალური დახმარების ცენტრის განცხადებები და ბურმისტრის რუბრიკა. საჭიროების შემთხვევაში ბიულეტენთან ერთად იბეჭდება თემატური ბროშურები (საბიუჯეტო, გზების მშენებლობის, სამედიცინო მომსახურების შესახებ. ბოლო დამატებაში შევიდა გმინის და ქალაქის გამგეობის თანამშრომელთა სია, მათი ტელეფონებით, ელ. ფოსტის მისამართებისა და კაბინეტების ნომრებით).

მუროვანა გოსლინას ქალაქისა და გმინის საინფორმაციო სამსახური, ანუ ვებ-გვერდი - www.murowana-goslina.pl

დროის განმავლობაში ეს ინფორმაციის წყარო უფრო და უფრო ხელმისაწვდომი და პოპულარული ხდება. ის იქმნება გამგეობის თანამშრომლების მიერ. მისი მეშვეობით გმინის მოღვაწეობის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია შეიძლება მიიღოს გმინისა და ქალაქის მოსახლეობა და მსოფლიოში ყველა ინტერნეტის მომხმარებელი. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აქტუალური მოვლენების შესახებ. წარმოდგენილია გმინის ხელმძღვანელობა, ეკონომიკა, ტურიზმი, განათლება, კულტურა, გამოცემები (გეგმები, სტრატეგიები, პოლიტიკა), ვაკანსიები, ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ინფორმაცია უბნის ინსპექტორების შესახებ, საგანგებო სამსახურების ტელეფონების ნომრები, ორგანიზაციათა და ფირმების სია. გვერდზე აგრეთვე მოთავსებულია შემდეგი ბმულებები: საჯარო ინფორმაციის ბიულეტენი, რომელშიც შედის ბურმისტრის და ქალაქის საკრებულოს დადგენილებები და გამგეობის აპლიკაციების ფორმები, აგრეთვე ქალაქის ჟანდარმერიის, კულტურის და რეკრეაციის ცენტრის, საჯარო ბიბლიოთეკის, გოსლინის რეგიონის პარტნიორული კომიტეტის შესახებ და ა.შ.

ვებ-გვერდის ძალიან მნიშვნელოვანი და ცოცხალი ელემენტი ფორუმი, სადაც (წესების თანახმად) ნებისმიერი თემის დაწყება შეიძლება. ფორუმი თემატურად არის დაყოფილი: კომუნალური მომსახურება, ინვესტიციები, ქალაქზე მსჯელობები, შეკითხვები ქალაქის საკრებულოსთან, ქალაქის ჟანდარმერია, ტექნიკური ფორუმი და შეკითხვები ბურმისტრთან. როგორც ბურმისტრი, ასევე მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მოსახლეობის შეკითხვებს გამოეხმაურონ, რადგან კარგად ესმით ფორუმის მნიშვნელობა კომუნიკაციის

საშუალების როლში. ფორუმი განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებს შორის.

ბურმისტრის მორიგეობა

ბურმისტრს კვირის განრიგში აქვს გამოყოფილი გარკვეული საათები მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებისთვის. ასეთი შეხვედრები იმართება ორშაბათს 14:00 - 17:00 და ხუთშაბათს 9:00 - 10:00 საათზე. ბურმისტრთან შეხვედრის დანიშვნა ხდება ტელეფონის, ელ-ფოსტის ან სამდივნოს მეშვეობით. შეხვედრები მოსახლეობას საშუალებას აძლევენ პირადად გაესაუბრონ, შეკითხვა დაუსვან, პრობლემის შესახებ აცნობონ ან უბრალოდ გაიცნონ ბურმისტრი.

მოსახლეობასთან შეხვედრები

წელიწადის განმავლობაში იმართება შეხვედრები ბურმისტრთან, როგორც ქალაქისა, ასევე გმინის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოსახლეობისთვის. შეხვედრები ტარდება სოფლებისა და უბნების გამგებებში. კონკრეტული უბნის ან სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრამდე ბურმისტრი ვადის კონსულტაციებს გამგებების წევრებთან შესაძლო თემების თაობაზე. მოსახლეობასთან შეხვედრების მიზანია გმინის ხელმძღვანელობის მიმდინარე გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირება, პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის შორის დისტანციის შემცირება.

გმინის საკრებულოს სესიების წინა შეხვედრები სოფლების და უბნების გამგებლებთან

საკრებულოს ყველა სესიამდე იმართება შეხვედრები ცალკე სოფლების და ცალკე უბნების გამგებლებთან. როგორც საკრებულოს წევრებს, ისე გამგებლებს ეძლევათ დადგენილებების პროექტები და მათ შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი შესწორებები. მათ აქვთ საშუალება იმ დისკუსიაში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც უშუალოდ ეხება მათ თემს, და ადგილობრივ თვითმართველობაზე გავლენა ჰქონდეთ.

ბურმისტრის მოღვაწეობის ანგარიში

საკრებულოს ყოველი სესიის დროს ბურმისტრი თავისი მოღვაწეობის გარკვეული პერიოდის ანგარიშს აბარებს. ანგარიშში შედის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებები იყო მიღებული, გამგებობის სამსახურების

თათბირების თემები და ბურმისტრის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები.

გამგეობაში ბავშვებთან და ახალგაზღვებთან შეხვედრები

მუროვანა გოსლინას გმინისა და ქალაქის გამგეობა ღიაა თანამშრომლობის ყველა ფორმისთვის, რომელიც მოხელესა და მოქალაქეს შორის ბარიერს ამცირებს. ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობის შესახებ წარმოდგენის შექმნის მიზნით იმართება ექსკურსიები გამგეობაში სკოლისა და საბავშვო ბაღების მოსწავლეთათვის. ახალგაზღვები და ბავშვები ეცნობიან გამგეობის სტრუქტურას, ათვალეიერებენ კაბინეტებს, მათ სამახსოვროდ ურიგებენ გმინის ფოლდერებს და სარეკლამო ნივთებს, როგორცაა საწერი კალმები, ბუშტები და კალენდრები.

დაინტერესებულ პირთა მომსახურების ოფისი

გამგეობაში მოსული ადამიანების, ანუ დაინტერესებული პირების უკეთესად ინფორმირებისთვის გამგეობის მთავარ შენობაში პირველ სართულზე გავაკეთეთ დაინტერესებულ პირთა მომსახურების ოფისი. ოფისი ღიაა სამუშაო საათებში, ანუ ორშაბათს 9:00 - 17:00 სთ-ზე, სამშაბათიდან პარასკევამდე კი 7:30 - 15:30 სთ-ზე. აქ ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს გამგეობის სამსახურების შესახებ ინფორმაცია, როგორცაა ტელეფონებისა და ოთახების ნომრები და აიღოს შესაბამისი ფორმები. მოსახლეობა სხვა ინფორმაციის მოპოვებასაც ცდილობს დაინტერესებულ პირთა მომსახურების ოფისში, მაგალითად გმინის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების და ფირმების ტელეფონები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგი და ა.შ. დაინტერესებულ პირთა მომსახურების ოფისი არის ის ადგილი, სადაც თავიდან ხდება გამგეობაში მოსული ადამიანი, ამიტომ მან აქ უნდა მიიღოს რაც შეიძლება სრული და დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს გამგეობისა თუ მერიის დადებით იმიჯზე.

გამგეობის შენობაში საინფორმაციო დაფები და ნიშნები

გამგეობის ორივე შენობაში პირველ სართულზე განლაგებულია საინფორმაციო დაფები, სადაც გამოკრულია სამსახურებისა და განყოფილებების სია შესაბამისი ოთახების ნომრებით. ოთახების კარებთან გაკრულია აბრები თანამშრომლების სახელებით, თანამდებობებისა და სამსახურეობრივი მოვალეობათა სიით. ყველა თანამშრომელი

ატარებს საიდენტიფიკაციო ბარათს, სადაც მის თანამდებობასთან, სახელსა და გვართან ერთად მითითებულია მუროვანა გოსლინას გმინის ლოგო.

ვიზუალური ინფორმაცია – გმინის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სოფლებში განლაგებული საინფორმაციო დაფები და ბოძები.

მუროვანა გოსლინას გმინაში მოძრაობის ყველაზე ცხელ წერტილებში მოთავსებულია 6 საინფორმაციო ბოძი (ქალაქის ტერიტორიაზე) და 20 საინფორმაციო დაფა (სოფლებში). ქალაქის ცენტრში ავტობუსების გაჩერებასთან არსებობს მთელი გმინის რუკა.

ელექტრონულ მედიასა და გაზეთებთან თანამშრომლობა

მუროვანა გოსლინას გმინის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება გმინის გამგეობაში მიმდინარე სამუშაოს შესახებ ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ საკაბელო ტელევიზიას და გარე მედიას, როგორებიცაა გაზეთები, ინტერნეტ პორტალები, ტელევიზიები და რადიოები. ამ მიზნით შეიქმნა მედიის ამ საშუალებების ელ-ფოსტის მისამართების სია. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას მუდმივი სატელეფონო კავშირი აქვს ჟურნალისტებთან, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ინფორმაციას აგროვებენ. გმინა მედიათა მონიტორინგს და გმინის შესახებ გამოქვეყნებულ მასალების არქივიზაციას ახორციელებს.

საინფორმაციო პოლიტიკა გმინის გამართული ფუნქციონირების ერთერთი მთავარი ნაწილია. ინტერნეტის სწრაფი განვითარების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის ამ წყაროს გამოყენება. სამწუხაროდ გმინაში იგრძნობა ადგილობრივი მედიის ნაკლებობა, რასაც შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მოსახლეობის ინფორმირებაზე. საჭიროა აგრეთვე უფრო ინტენსიური მუშაობა გარე მედიის საშუალებებთან, რათა წინასწარ მივაწოდოთ მათ გმინის ამბებისა და გეგმების შესახებ ინფორმაცია.

საინფორმაციო პოლიტიკის მეშვეობით გმინა ცდილობს გაწიოს საზღვარი მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმართველობის შორის, რათა მუროვანა გოსლინა გახდეს ნამდვილი „საოცნებო მისამართი“.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

„საზოგადოებრივი სარგებლის” მოღვაწეობა არის ისეთი მოქმედება, რომელსაც ზოგადად საზოგადოებისთვის სარგებელი მოაქვს და ხორციელდება კანონით განსაზღვრული საჯარო დავალებების ფარგლებში. მისი განხორციელება შეუძლიათ: - არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგალითად ფონდებს, საზოგადოებებს, სტუდენტურ და სპორტულ კლუბებს, ორგანიზაციებს და იურიდიულ პირებს, რომელთა მოქმედება განსაზღვრულია კანონით კათოლიკური ეკლესიისა და სახელმწიფო ურთიერთობების შესახებ (მაგ. ეპარქია);

თანამშრომლობის კანონიერ საფუძველს წარმოადგენს:

- 24.04.2003 წ. კანონი საჯარო სარგებლის მოღვაწეობის და ნებაყოფლობის შესახებ – განსაზღვრავს საჯარო დავალებების სფეროს ამოცანებს, არეგულირებს ნებაყოფლობის წესებს, საზოგადოებრივი სარგებლის მოღვაწეობის წესებს და საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მინიჭების წესებს.
- მუროვანა გოსლინას ქალაქისა და გმინის გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი 2005-2010 წწ. გეგმა – პროგრამაში წარმოდგენილი თანამშრომლობის ფორმები ეხებიან როგორც საჯარო დავალებების შესრულებას, აგრეთვე მოღვაწეობის დაგეგმვით მიმართულებასა და ურთიერთ ინფორმირების გზებს.
- მუროვანა გოსლინას ქალაქისა და გმინის გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წლიური გეგმა 2007 წლისთვის – განსაზღვრავს საჯარო დავალებების შესრულების პრიორიტეტებს, განსაკუთრებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კულტურისა და ხელოვნების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარებისა და ევროპული ინტეგრაციის განვითარებაში.
- ბურმსტრის დადგენილებები – ეხება საჯარო დავალებების შესრულებისთვის ღია კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

თანამშრომლობის გეგმა შემდეგ ეტაპებს ითვალისწინებს:

1. მომავალი წლის თანამშრომლობის წინადადებები;
2. წლის გეგმა;
3. ბიუჯეტის პროექტი;
4. წინადადებათა ღია კონკურსის გამოცხადება;

5. კონკურსის ჩატარება;
6. ხელშეკრულებების დადება, დოტაციების გაცემა;
7. დავალებების განხორციელება;
8. შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშები.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები მოქცეულია თანამშრომლობის მრავალწლიან გეგმაში. მასში მითითებულია როგორც თანამშრომლობის ფორმები, ასევე სუბიექტები და დაფინანსების გზები. მრავალწლიანი გეგმის მთავარი მიზანია პარტნიორული ურთიერთობების დამყარება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თვითმართველობის შორის და თანამშრომლობის ყოველწლიური გეგმების შედგენისთვის საფუძვლების შექმნა.

ერთწლიანი თანამშრომლობის გეგმაზე მუშაობის დაწყებამდე, ორგანიზაციებს ეძლევათ ინფორმაცია, თუ რა სფეროებში იგეგმება თანამშრომლობა. ეს ინფორმაცია ქვეყნდება თვითმართველობის ვებ-გვერდზე და მის ყოველთვიურ გაზეთში – „თვითმართველობის ბიულეტენში“. წინადადებები ორგანიზაციების მხრიდან შეიცავს დავალების სახელწოდებას და მის მოკლე ახსნას, მთლიან ღირებულებას, იმ თანხის მოცულობას, რომელსაც ორგანიზაცია გმინის ბიუჯეტიდან ითხოვს და დავალების შესრულების ვადას. წინადადებები მიიღება ოქტომბრის თვის ბოლომდე.

შემდეგ ეტაპზე დგინდება შემოსული წინადადებების შესაბამისა გმინის დავალებებთან, მათი განხორციელების მიზანშეწონილობა და წარდგენილი ბიუჯეტის სიზუსტე. შემდგომ იმართება გმინის ტერიტორიაზე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრები. შეხვედრების დროს მონაწილეებს შეუძლიათ გაიცნონ გმინის არასამთავრობო ორგანიზაციებზე მომავალ წელს გასაცემად დაგეგმილი საჯარო დავალებათა სიას და ინფორმაცია გაცვალონ თავიანთი მოღვაწეობის შესახებ. შეხვედრაზე ორგანიზაცია ავსებს ანკეტას მისი აქტუალური მონაცემების შესახებ.

ქალაქის და რაიონის საკრებულოს მიერ თანამშრომლობის წლიური გეგმის დადგენის და ბიუჯეტის მიღების შემდეგ ბურმისტრი აცხადებს ღია კონკურსს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საჯარო დავალებების შესრულებაზე. ორგანიზაციებმა საჭირო საბუთები უნდა წარადგინონ კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში.

წინადადებების შეფასებას საკონკურსო კომისია ახორციელებს. კომისიის შემადგენლობაში 2-4 კაცი შედის. წინადადებების შეფასება დახურულ სხდომაზე ხდება. შეფასება როგორც ფორმალურ, ასევე შინაარსობრივ ასპექტებს ეხება, განსაკუთრებით კი კონკურსის იმ პირობების დაკმაყოფილებას, რომლებიც მითითებულია საკონკურსო განცხადებაში. ბოლო ეტაპზე დგინდება სხდომის ოქმი, სადაც მითითებულია კომისიის აზრით ყველაზე კარგი წინადადებები, შესაძლო დოტაციების თანხებით. ამის შემდეგ, ბურმისტრის თანხმობით, კონკურსის შედეგები ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, „თვითმართველობის ბიულეტენში“ და ვებ-გვერდზე.

დოტაციების გაცემა ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. დავალების შესრულების შემდეგ ორგანიზაცია ვალდებულია წარადგინოს როგორც შინაარსობრივი, ასევე ფინანსური ანგარიში და შესრულებული პროექტის დოკუმენტაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელის შეწყობა საჯარო მომსახურების დავალებების შესრულების ხარისხს და ეფექტურობას ზრდის, ადგილობრივი სუბიექტების ინტეგრირებას ახდენს და ამყარებს იმ სტრუქტურებს, რომელიც მოსახლეობის ინტერესებისთვის ფუნქციონირებს. აგრეთვე ის საზოგადო ცხოვრებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის პრინციპის განხორციელებას უწყობს ხელს.

საკონტაქტო პირი:

რომა დუკატი, მოსახლეობასთან ურთიერთობის სპეციალისტი, მუროვანა გოსლინას გმინისა და ქალაქის გამგეობა, პოზნანსკას ქ. 18, 62-095 მუროვანა გოსლინა, ტელ. +48(061)8118-848; ფაქსი +48(061)8122-140, r.dukat@murowana-goslina.pl, www.murowana-goslina.pl

კარგი მაგალითები – ქ. სიერაკოვოს გმინის და ქალაქის გამგეობის

რემონტი გამგეობის შენობებში

წინ დახედული ადამიანი ზაფხულში ზრუნავს ზამთარზე. ამიტომ სიერაკოვოს თვითმართველობამ გმინის ბალანსზე მყოფი შენობების გათბობის პრობლემა ივნისში მოაგვარა.

სოფელ ლუტომში მდებარე სკოლის შენობის გათბობის ცენტრალური სისტემის გამოცვლაზე განცხადებულ კონკურსში მონაწილეობა რვა სუბიექტმა მიიღო. გამარჯვებულმა კომპანიამ ძველი შეშის გამათბობელი და მილები მოხსნა, და ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ზეთის გამათბობელი დაამონტაჟა. ამ სამუშაოებში შედიოდა აგრეთვე შენობის სარდაფის და კიბეების გადაკეთება და საკლასო ოთახებში რადიატორების დამონტაჟება.

ქალაქის და გმინის გამგეობის შენობაში ანალოგიური სამუშაოების ჩატარებაზე გამოცხადებულ კონკურსში ათმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ამ სამუშაოების პროცესში გაკეთდა მეორე სართულის რემონტი და რადიატორების დამონტაჟება. მომავალში ეს ცენტრალური გათბობის სისტემა გარდა გამგეობის შენობისა, ცენტრში მდებარე სხვა შენობებისთვისაც უზრუნველყოფს სითბოს.

ამ ორი ინვესტიციის მეშვეობით ჩვენს გმინაში ჰაერი უფრო სუფთა იქნება.

ორივე სამუშაოების ტექნიკური ჩაბარებისას, ბურმისტრმა აღნიშნა მათი მნიშვნელობა ქალაქის და რაიონის ეკოლოგიური მდგომარეობისთვის, რადგან სიერაკოვო მდებარეობს დაბლობში, სადაც ადვილად გროვდება ყველა ამონაბოლქვი. ამის გამო ჰაერში მავნე ნივთიერებების რაოდენობა მატულობს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდესაც შენობების გათბობა ნახშირით ხდება. ამიტომ ყოველი ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ცენტრალური გამათბობელი სისტემა ნიშნავს ჩვენს გმინაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გმინის ინვესტიციები ტურიზმში

სიერაკოვო მდებარეობს მდინარე ვარტასთან, ნოტეცკა დიდი ტყეების მიდამოებში. პატარა გორაკები, სუფთა ტბები და უნიკალური ბუნება ამ გმინის ტურისტული ატრიბუტებია. თვითონ ქალაქი არის სიერაკოვოს პარკის ცენტრში, რომელიც შეიქმნა უნიკალური პოსტგლაციალური ლანდშაფტის დასაცავად. ქალაქთან ახლოს მდებარეობს ოთხი დაცული ტერიტორია, სოფელ ხალინში არსებობს ეკოლოგიური განათლების ცენტრი. გმინის ტერიტორიაზე არსებობს ბევრი ტურისტული მარშრუტი.

2007 წელს სიერაკოვის თვითმართველობამ გამოყო არც თუ ისე პატარა თანხა გმინისა და ქალაქში ტურიზმის განვითარებისთვის. ამაში დიდ თანხას წარმოადგენდა კანალიზაციის ახალი სისტემის აშენება ტურისტულ ბაზაზე. ამ სამუშაოების შედეგად ტბა იაროშევსკისთან და ახლომდებარე კერძო და გმინის ტურისტული დანიშნულების ტერიტორიებზე მთლიანად გაკეთდა კანალიზაცია. გაყვანილი იყო თითქმის 2,5 კმ კანალიზაციის მილსადენი, 105 საკონტროლო ჭა, 4 საზომი ოთახი და განხორციელდა საკანალიზაციო წყლების ამოტუმბვა. ამ ინვესტიციის დახმარებით დაიწყებს მუშაობას ახალი საცურაო აუზი.

ტბა იაროშევსკისთან მდებარე პლაჟზე გმინის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით გაკეთდა საპირპარეშოები.

აგრეთვე პლაჟზე მოიწყო ფრენბურთის მოედანი. რამდენიმე წლის წინ ფრენბურთის მოყვარულთა ჯგუფმა დაიწყო შესაბამისი სამუშაოები – ხელმძღვანელობის თანხმობით – გაასუფთავეს ტერიტორია, მაგრამ ადგილი არ გამოადგა ამ მიზნისთვის თავისი ჭაობების გამო. ამ ვითარების გაუმჯობესებაში დრენაჟმაც კი ვერ მისცა სასურველი შედეგი. ჭაობში ფრენბურთში თამაში ძნელია, ამიტომ დავალება ვერ შესრულდა ბოლომდე. წელს იგივე ჯგუფმა გმინის ხელმძღვანელობას მიმართა, რათა მიეღოთ დახმარება დავალების დამთავრებაში. ხელმძღვანელობის თანხმობის მიღების მერე ჩატარდა პროფესიონალური დრენაჟი და სხვა სამუშაოები, რომლების შედეგად მოეწყო ფრენბურთის მოედანი.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოებში მონაწილე ყველა კომპანია ტენდერის შედეგად იყო შერჩეული. სამუშაოების შესრულებაში დაიხარჯა სოლიდური თანხა, მაგრამ შედეგმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა გმინისა და ქალაქის ეკონომიურ განვითარებაში.

მუსიკალური გართობა პლაჟზე

სიერაკოვო ცნობილია ზაფხულის პერიოდში პლიაუზე ორგანიზებული კონცერტებით. ეს ტრადიცია უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და ბევრი ადამიანი ჩამოდის სიერაკოვოში სწორად კონცერტებზე დასასწრებლად. ეს კი არის ტურისტული გმინის მიზანი.

კონცერტების ორგანიზატორმა ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით მოიწვია მსმენელები, მათ შორის არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მთელი ოჯახები. პროგრამა ისე არის შედგენილი, რომ ყველას გემოვნება დააკმაყოფილოს. წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის მუსიკა: ბლიუზი, როკი, ფოლკი. ყოველ წელიწადს კონცერტების ორგანიზებაში უფრო მეტი და მეტი ადამიანი იღებს მონაწილეობას: პოვიატის ხელმძღვანელობა, სიერაკოვოს გმინის გამგეობა, პოლიცია და ა.შ.

ქ. სიერაკოვოს ტურისტული ინფორმაციის ცენტრი

სიერაკოვოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა აზრი ტურისტული ინფორმაციის ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ტურიზმი არის სიერაკოვოს განვითარების ერთერთი მთავარი გზა. ქალაქში ჩნდება უფრო მეტი და მეტი სასტუმრო, რესტორანი, ბარი და დასვენების ცენტრი. დიდი თანხა დაიხარჯა ტურისტული ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებამდე მიყვანაზე.

სუფთა ჰაერი, ტყე, ტბები იზიდავენ ტურისტებს, საუკეთესო პირობები კი ხელს უწყობენ ტურისტების უფრო დიდ ხანს გაჩერებას.

ყოველწლიურად გმინის მოსახლეობა პოულობს უფრო ბევრ მუდმივ და სეზონურ სამუშაოს ტურიზმის სექტორში, ამ სფეროში იქმნება უფრო მეტი და მეტი ახალი კომპანია. გმინამ მიიღო გადაწყვეტილება დაეხმაროს კომერციულ სექტორს ტურიზმის სფეროში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სეზონური ტურისტული ინფორმაციის ცენტრი. მისი მთავარი მიზანია ტურისტებს მიაწოდონ ინფორმაცია სასტუმროების, რესტორნების, სპორტული ობიექტების, ისტორიული ძეგლების, ატრაქციონებისა და ტურისტული მარშრუტების შესახებ, ანუ ყველაფერზე, რაც ტურისტს სჭირდება. ამ ინფორმაციულ ცენტრში იყიდება და უფასოდ რიგდება ბროშურები, ფოლდერები, რუკები და სასტუმროების სიები.

სიერაკოვოს ტურისტული ინფორმაციის ცენტრი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევამდე 10-დან 15 სათამდე, შაბათს კი 9-დან 13 საათამდე. ამ ინიციატივისთვის ადგილი ცენტრს გამოუყო ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა თავისივე ბიბლიოთეკის შენობაში.

აღასანიშნავია, რომ სეზონის დაწყებამდე ბურმისტრი შეხვდა ტურისტული ბაზების, რესტორნების და ბარების მენეჯერებს, რომ გაეგო, რას ელოდებიან ისინი გმინის ხელმძღვანელობისგან და როგორ შეუძლია გმინას დაეხმაროს ამ სამომავლო საქმიანობას. დისკუსიის პროცესში, ბიზნესმენებმა მოიწონეს ტურისტული ინფორმაციის ცენტრის შექმნის იდეა, გაისმა რამდენიმე საინტერესო წინადადება. ბურმისტრის და ბიზნესმენების შემდეგი შეხვედრა დაგეგმილია სეზონის დასრულების პერიოდზე, ანუ შემოდგომაზე.

პირველი სოფლის საბავშვო ბაღი

სიერაკოვოს პირველი სოფლის საბავშვო ბაღის შექმნა უკავშირდება განათლების რეფორმას, რომელიც ძალაში უნდა შესულიყო 1999 წლის 1 სექტემბრიდან. ამ რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებები ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ზოგიერთი თემისთვის. ეკონომიკური მიზეზების გამო პოლონეთში იმ პერიოდში დაიხურა ბევრი სკოლა, რომლებშიც ბავშვების მცირე რიცხვი სწავლობდა. მათ შორის იყო ჩვენი გმინის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ქაჩლინის დაწყებითი სკოლა. არ იყო გასაკვირი, რომ ამ ფაქტმა მშობლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კაჩლინს ემუქრებოდა საგანმანათლებლო უწყების გარეშე დარჩენა. მაგრამ სოფელში დარჩა სკოლის შენობა, სადაც შარშან სწავლობდნენ ნულოვანი და პირველი კლასების მოსწავლეები. II-VIII კლასის მოსწავლეები გადავიდნენ მეზობელ სოფელში (დუტომი) მდებარე სკოლაში. ასეთი გადაწყვეტილება იყო მიღებული ბურმისტრის, გმინის ხელმძღვანელობის, განათლების სისტემის მუშაკების და მშობლების შეთანხმების შედეგად. ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ მხარეებმა შეთანხმდნენ მასზე ერთი წლით.

სოფელში ერთერთი შეხვედრის დროს ბურმისტრმა შესთავაზა მოსახლეობას, სკოლის შენობაში დაარსებულიყო საბავშვო ბაღი, რათა სოფლის და ქალაქის ბავშვებს ჰქონოდათ განათლების თანაბარი პირობები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრებაში, ადრინდელ ასაკშიც კი.

ბურმისტრმა დაარწმუნა ლუტომის საკრებულო და სკოლის დირექტორი ამ გადაწყვეტილების აუცილებლობაში, რაც პრაქტიკაზე ნიშნავდა ბავშვებისთვის სწავლის უკეთესი პირობების შექმნას.

თავიდან „კაჩლინის“ მოსახლეობა არ ეთანხმებოდა სკოლის დახურვის ფაქტს და სკეპტიკურად მიიღო ახალი იდეა. სოფლების თავკაცებს ჩაუტარებიათ გამოკითხვა და დაადგინეს, რომ მოსახლეობა არ იყო დაინტერესბული საბავშვო ბაღის დაარსებაში.

მაგრამ შემდეგი სასწავლო წლის განმავლობაში „კაჩლინში“ ისევ განნდა იდეა საბავშვო ბაღის შექმნის შესახებ. გმინის ხელმძღვანელობა მხარს უჭერდა ამ იდეას. ლუტომის დამწეები სკოლის დირექტორმა თავის თავზე აიღო საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. მან შეადგინა 4-6 წლამდე ასაკის ბავშვების სია და შეხვდა მათ მშობლებს.

გმინის ხელმძღვანელობასა და ქალაქის საკრებულოს კონსულტაციების შედეგად დირექტორმა მიიღო დაპირება გმინის მხრიდან საბავშვო ბაღის დაფინანსებაზე. საბოლოო ჯამში, საბავშვო ბაღში ჩაიწერა 53 ბავშვი, აქედან 20 ბავშვი 4 წლის ასაკში, 13 ბავშვი – 5 წლის და 20 ბავშვი 6 წლის ასაკში.

შენობა მომზადდა ბავშვების მისაღებად. სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა გმინის ბიუჯეტიდან. შენობის ეზოში კი გააკეთდა საბავშვო მოედანი.

ბავშვები საბავშვო ბაღში დადიან სასკოლო ავტობუსებით. მათ თან ახლავთ საბავშვო ბაღის მასწავლებლები. ბავშვები დღეში 5 საათს ატარებენ საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღის ყოველთვიური საფასური სიმბოლურია. ბავშვებთან მუშაობს ორი მასწავლებელი.

საკონტაქტო პირი:

ქშიშტოფ ქშიშტოფიაკი, სიერაკოვოს გმინის ბურმისტრის მოადგილე. 8 იანვრის ქ. 38 64-410 სიერაკოვო, ტელ.+48 (61) 29 53-011, ფაქსი +48 (61) 29 53-480, viceburmistrz@sierakow.pl, www.sierakow.pl

საზოგადოება „პარტნიორები თვითმართველობისთვის“



„პარტნიორები თვითმართველობისთვის“ წარმოადგენს საზოგადოებას, რომელიც შექმნილია USAID-ის მიერ დაფინანსებული ამჟამად დასრულებული ტერიტორიულ თვითმართველობის პარტნიორობისთვის პროგრამის კონსულტანტების, თანამშრომლებისა და კონტრაქტორების მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავდა პოლონური გმინების საჯარო მომსახურების შესრულების შესაძლებლობების განვითარებას და ადგილობრივი თემების ჩართულობას გმინის ცხოვრებაში.

პროგრამის მოღვაწეობის მთავარ ფორმას წარმოადგენდა 200 გმინისა და პოვიატში თანამედროვე მმართველობის მეთოდების დანერგვა.

პროგრამის შესრულების შედეგად, 2001 წელს პოლონეთში გაჩნდა ექსპერტთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას აგრძელებენ პროგრამაში შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით.

საზოგადოება „პარტნიორები თვითმართველობისთვის“ არის პირდაპირი პასუხი ამერიკელი დამფინანსებლების მოთხოვნებზე. საზოგადოების მუშაობის მთავარი პრინციპებია: პროფესიონალიზმი და პროდუქტების დახვეწა, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობა. ჩვენი ორგანიზაცია მუდამ მუშაობს იმ მეთოდებისა და გზების გაუმჯობესებაზე, რომლების დანერგვას თვითმართველობის ერთეულებს ვთავაზობთ. ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვა მრავალ სპეციალისტთან ადგილობრივი თვითმართველობის დარგში.

საზოგადოების მთავარი მიზანია ქვემოთ ჩამოთვლილ დარგებში წამოწყებების და ინიციატივების მხარდაჭერა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალისტების პროფესიონალური საზოგადოების შექმნა და განვითარება
- ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება
- ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე კანონში ცვლილებების შეტანის ლობირება
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ინსტიტუციონალური და საორგანიზაციო ფორმების შექმნა
- ევროპული საინტეგრაციო პროცესები
- ბუნების დაცვა, სოციალური დახმარება, ჯანდაცვა და განათლება
- მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- ადგილობრივი თემებისა და თვითმმართველობის ორგანოების შორის ეფექტური კავშირის გაზრდა

დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

**საზოგადოება „პარტნიორები თვითმმართველობისთვის”
(Partners for Local Government Association)**

ul: Grottgera 16/2, 60-758 Poznan, Poland

Tel: +48 (061) 622 26 46, Fax: +48 (061) 622 26 48

biuro@parters.org.pl

www.partners.org.pl

სარჩევი

შესავალი 3

თვითმმართველობის იდეა პოლონეთის
კანონმდებლობაში 3

„გამჭვირვალე პოლონეთი“ – პროგრამის პრინციპები
და კარგი გამოცდილების მაგალითები
სასარგებლო გამოცდილება – გროჯისკ
ვიელკოპოლსკის გმინისა და ქალაქის მერიის
Iშ ქალაქის მერიაში

გროჯისკ ვიელკოპოლსკის იოანე პავლე II სახ.
გარემოს დაცვის ცენტრი

„გროჯისკის“ სამრეწველო სექტორი

სასარგებლო გამოცდილება – „გოსტინის“ მერია
სათამაშო კუთხე ბავშვებისთვის-

კარგი მაგალითები – ქ. პუშჩიკოვოს მერია

ქ. პუშჩიკოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან
თანამშრომლობა როგორც საჯარო სექტორისთვის
გარკვეულ საქითხებში დამხმარე საქმიანობა და
როგორც სამოქალაქო საზოგადოების შექმნის
პროცესის ხელშეწყობა

კარგი მაგალითები – მუროვანა გოსლინას გმინის
და ქალაქის გამგეობის-

კარგი მაგალითები – ქ. სიერაკოვოს გმინის და
ქალაქის გამგეობის

საზოგადოება „პარტნიორები
თვითმმართველობისთვის”